პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 47 (19788) | სამშაბათი, 24 თებერვალი, 1887 წელი. | ფასი 3 კაპ.

მოსკოვი. დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნება სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა.

სურათზე: საქართველოდან ჩამოსულ დელეგატთა ერთი ჯგუფი რეგისტრაციის შემდეგ — სოციალისტური შრომის გმირი, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი ბ. ვაშაკიძე, სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის მარქვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია, თბილისტანსაცმლის № 41 მაღაზიის უფროსი გამყიდველი თ. ღუდუშაური, სიღნაღის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ლ. ოტიაშვილი, თბილისის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, სამივე ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანი ზ. ფირცხალაიშვილი.

საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

ოცდამეშვიდე ყრილობის კურსით

ხვალ, 25 თებერვალს, ზუსტად ერთი წელი შესრულდება იმ დღიდან, როცა მოსკოვში, კრემლის ყრილობათა დიდ სასახლეში მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა, რომელიც ისტორიულ ნიშანსვეტად შევიდა ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის მდიდარ ბიოგრაფიაში.

ყრილობის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. მან ფართოდ, ყოველმხრივ, ლენინურად გაიაზრა დრო და მომენტი. მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ წამოყენებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გაბედული გეზი, შეიმუშავა კომუნისტების, ყველა მშრომელის მოქმედების ჭეშმარიტად რეალისტური პროგრამა. ძნელია მარტო სიტყვებით გამოხატო ყრილობის მნიშვნელობა, მის ღრმაშინაარსიან მასალებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, მთელი რიგი ცვლილებებით დამტკიცებულ ჩასდებაში — კომუნისტთა ცხოვრების ამ კანონში, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში — მთელი სიღრმით ჩანს პოლიტიკური რეალიზმი და მომავლისაკენ სწრაფვა, პარტიის ორგანიზაციული ფორმების სიმტკიცე და სიზუსტე, ეკონომიკის სწრაფი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების განსაკუთრებული კონკრეტულობა და მიზანშმართულება.

XXVII ყრილობის გამორჩეული სასიათი ის არის, რომ იგი თავიდან ბოლომდე წარიმართა პარტიული პრინციპულობისა და ერთიანობის, განსაკუთრებული მომთხოვნელობისა და ბოლშევიკური სიმართლის ვითარებაში, როცა, როგორც იტყვიან, ყველა საგანს თავისი სახელი ეწოდა. ყრილობამ გაბედულად გამოაამკარავა ნაკლოვანებები და ხარვეზები, მოგვცა ჩვენი საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობების ღრმა, მეცნიერული, ყოველმხრივი ანალიზი.

ყრილობის კურსი პრინციპულად ახალი სტრატეგიული კურსია. ეს არის დაჩქარება, რომელიც, როგორც ყრილობაზე ითქვა, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაა. მაგრამ მისი არსი თვისებრივად ახალი ზრდაა. იგი გულისხმობს წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე. განვახორციელოთ ინტენსიური სოციალური პოლიტიკა, თანამიმდევრულად დავამკვიდროთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი, სრულყოფილ საზოგადოებრივი ურთიერთობა, განვაახლოთ პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმები და მეთოდები, გადაჭრით დავძლიოთ ინერცია, უერთობა და კონსერვატიზმი, აგრეთვე ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, საერთო პროგრესს — აი ყრილობის მოწოდება, აი, რა უნდა გავითვალისწინოთ, როცა დაჩქარების, გარდაქმნის აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა კმაყოფილებით აღიქვეს და კონკრეტულად გაიაზრეს ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, აქტიურად შეუდგნენ ამ ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას.

და ეს მრავალსმეტყველი ერთი წელიწადი უკვე გავიდა. XXVII ყრილობის იდეებს სულ უფრო ღრმად დაეუფლა თითოეული ჩვენგანის გულსა და გონებას, მისი გადაწყვეტილებანი დღეს მოლიანად განსაზღვრავს ჩვენი ნინსვლის, გარდაქმნის, ჩვენი ყოველდღიური მოქმედების ხასიათსა და რიტმს. სწორედ განვლილმა წელმა კიდევ უფრო თვალნათლივ დაანახვა ყველას, თუ რა ერთგულად, რა თანამიმდევრულად აგრძელებს ჩვენი პარტია დიდი ოქტომბრის საქმეს.

დღეს, როგორც არასდროს, ნინა პლანზე დგება ადამიანის ფაქტორი. სწორედ ადამიანთა განწყობილება, მათი ინიციატივა, მათი გულგრილიანობა, ალალმართლობა და საქმის სიყვარული არის ის ძალა, რომელსაც პარტია ეშყარება რთული გარდაქმნების პერიოდში.

საერთოდ განვლილი მუშაობის შედეგები ურიგო როდია. ბევრ უპანზე ისინი მეტად დამაიმედებელია. მარშან, მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს, ჩვენს რესპუბლიკაში რამდენადმე გაძლიერდა ინტენსიური ფაქტორები. მაგალითად, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 4,4 პროცენტით გაიზარდა, რის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის საერთო მატების 81 პროცენტი, მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე ნინა წლებს.

განვლილი წლის მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კარგ შედეგებს სწორედ იქ აღწევენ, სადაც გონივრულად იყენებენ ადამიანის ფაქტორს, ხაამისო მაგალითები კი ცოტა როდია საქართველოს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ცხოვრებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკამ ისიც გვიჩვენა, რომ ბევრგან უგულოდ, უინიციატივოდ იმუშავეს, ვერ დათმეს ძველი მეთოდები, ვერ დაძლიეს ინერციის ძალა. აი, რატომ არის, რომ ზოგი საწარმოსათვის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის გასული წელი ქრონიკული წარმრნენის წლად იქცა. ეს ეხება ხე-ტყიანს და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, კასპის ეკმენტ-შიფრის კომბინატს, ბორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებას, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანას და სხვებს. ბევრი წარმრნა კვლავ დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს, აძვირებს თვითღირებულებას, ვერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, საქმეს სასიკეთო ხელი ვერ დაატყო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალშიც. ეს ეხება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, „საქთვეზმრეწს“, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელს“, „საქქვანახშირს“ და სხვებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით როგორც სოფლად, ისე ქალაქად წამატებებსა და თვალისაჯვეკას, სიყალბეს და ფალსიფიკაციას, ხოლო პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხშირად მორიდან მეთვალყურის როლში ვამოდიან.

მართალია, მარშან როგორც არასელსაყრელი ამინდები, ისე მუშობის სხვადასხვაგვარი პირობები არ ანებივრებდა ჩვენს შრომითს კოლექტივებს, იყო სიძნელეები, სხვა რთული ობიექტური პირობებიც, მაგრამ, მოდით, ყველამ გულზე ხელი დაიდოს და თქვას, რამდენი რამ დავკარგეთ აუჩქარებლობითაც, დაუდევრობიდაც, უფულო მუშაობითაც.

ვინ არ იცის, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს ამ წლის იანვარ-თებერვალში დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონს, სვანეთს, რაჭას, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, ანუ მთელ საქართველოს. რამდენი სავარგული, რამდენი ნათესი დაიკარგა, რამდენი პირუტყვი დაიხოცა! დაიწვა საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, არის მსხვერპლი და ათასგვარი სხვა დიდი ზარალი. მაგრამ დიდმა ორგანიზებულობამ, სიმტკიცემ, პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ დღეებში გამოჩენილმა ხალხის დარაზმვის უნარმა სამმაგად და ათმაგად შეამცირა დანაკლისი, ცხოვრება ყველგან ათანადო კალაპოტში დგება.

და აი, ასეთი ორგანიზებულობა, ასეთი დარაზმულობა ყველგან, ყველა უბანზე უნდა გამოჩნდეს, არა მარტო უბედურების დროს, არამედ როცა ჩვენი პასუხსაგები გვაქვს ბედს ეუფლეთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა, რომელმაც გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის საკითხები განიხილა, უდიდესი ყურადღება მიაპყრო სოციალისტური დემოკრატიზმის გაღრმავებას, ხალხის თვითმმართველობის განვითარებას. ბუნებრივია, ვახორციელებთ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყოველმხრივ უნდა გავაქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, განვაკითაროთ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ კონტროლი როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან. ამ ძლიერ საბოლოო სიტყვაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა:

„ჩვენ ურყევად ვესწრაფვით XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გარდაქმნის საქმე შეუქცევადია“.

ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელები, რომლებიც სწორედ ასეთი რწმენით არიან განმსჭვალულნი, ახალ-ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებენ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული რეალური ამოცანების, „ტაქტიკური ხაზის“ განხორციელებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე.

შეხვედრა ესტონეთის სსრ აქტივთან

21 თებერვალს ტალინში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ესტონეთის სსრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივს.

აქტივზე გამოვიდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ბ. ვაინო, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი კ. კ. რებანე, ტალინის ი. ლაურისტინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ა. ს. მოროზი, ესტონეთის მწეარლთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ე. ბეეკმანი, პარტიის ტალინის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე.-ა. ა. სილარი.

სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა. მისი სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და დარბაზში ზმირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში. (საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

ესტონეთის სსრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივთან შეხვედრაზე

ძვირფასნო ამხანაგებო! გულითადად მოგესალმებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ მომეცა შესაძლებლობა შევხვედროდი ესტონეთის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის აქტივს. ჩემი ყოფნა თქვენს რესპუბლიკაში თავიდან. იგი ხანმოკლე იყო, გამიჩნდა სურვილი, კიდევ ჩამოვიდე თქვენთან.

მაგრამ თქვენს რესპუბლიკაში ხანმოკლე ყოფნამაც მის მშრომელებთან — პარტიულ მუშაკებთან, ვეტერანებთან, ახალგაზრდობასთან, სოფლის მცხოვრებლებთან და ქალაქელებთან მრავალი შეხვედრისა და საუბრის გამო, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრებმა შესაძლებლობა მომცეს შემევსო წარმოდგენა, ჩემი ცოდნა საბჭოთა ესტონეთის შესახებ.

აქტივთან დღევანდელ შეხვედრასა და პარტიის სასოფლო რაიონული კომიტეტების მდივნებთან ჩემს გუშინდელ საუბარს გააანალიზებულ მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს იყო, ასე ვთქვათ, თანამებრძოლი ამხანაგების, პარტიული მუშაკების საუბარი. თანაც, მთავარ თემაზე, თემაზე, რომელიც ეძღვნება გარდაქმნას პარტიული ორგანოების, პარტიული მუშაკების, მთელი ჩვენი კადრების საქმიანობაში ამ მნიშვნელოვან ეტაპზე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება გადის.

მინდა უწინარეს ყოვლისა, ჩემს გამოსვლაში, რადგან ამ ორ დღეზე მეტი ხნის მანძილზე ბევრი რამ ითქვა და გამოქვეყნდა, ხაზგასმით აღვნიშნო: დღევანდელი ესტონეთი თანამედროვე საზოგადოებაა, განვითარებული ეკონომიკის, განვითარებული კულტურის, მეცნიერების, განათლების მქონე საზოგადოება. აქ ხვდები თავის ძალებში დარწმუნებულ ადამიანებს, რომელიც თანამედროვე ცოდნას არიან დაუფლებული. ეს, ალბათ, ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაა.

ეს იმ უდიდესი მუშაობის შედეგია, რომელსაც ჩვენი პარტია ეწევა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, პარტიული აქტივის საქმიანობის შედეგიც, საბჭოთა ესტონეთის მშრომელთა მეცადინეობის შედეგიცაა.

მართლაც, ესტონეთმა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, სულიერი ზრდის მაღალ მიჯნებს მიაღწია. და, როცა ეს ვთქვი, გავიფიქრე, რამდენად განსხვავდება მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთაგან ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში შექმნილი მთელი სიტუაცია და მთელი ატმოსფერო, სადაც ასზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს.

ბურჟუაზიულ წყობილებას პრაქტიკულად არ შეუძლია გადაწყვიტოს ეროვნული პრობლემა, მსოფლიოს სულ სხვადასხვა ნაწილში, სხვადასხვა კონტინენტზე, იმის გამო, რომ გადაწყვეტილი არ არის ეროვნული საკითხი, არ წყდება ერთაშორისი შეღლი, კულტურული კარდახშულობა, გაუცხოება ხალხთა შორის.

ერთაშორისი კონფლიქტი, ერთაშორისი შეღლი დღეს, უნდა ითქვას, უმწვავესი და საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა მსოფლიოში. იმპერიალიზმი ფართოდ იყენებს ამ მოვლენებს იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის ინტერესებს, წაკიდოს ხალხები, ეროვნებანი სახელმწიფოთა შიგნით და მთელი სახელმწიფოები ერმთავნეთს. ძველებური ხერხით — „გათიშე და იბატონე“ — მოქმედებს ახლანდელი იმპერიალიზმიც, რათა დაასუსტოს თავისი მოწინააღმდეგე, ძარცვოს და ექსპლოატაცია გაუწიოს სხვებს.

ლატვიაში ჩემი ყოფნის დროს უკვე ვთქვი და ერთხელ კიდევ მინდა ვთქვა აქ, თქვენთან, რომ სწორედ სსრ კავშირის ყველა ხალხისა და ეროვნების მეცადინეობის გაერთიანებამ მრავალგზის გაზარდა ამ ხალხების უნარი ყველა ამოცანის — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში. სწორედ ეს არის ნამდვილად ლენინური ეროვნული პოლიტიკის რეალიზაცია.

როცა ამას ვამბობთ, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველივე ეს თავისთავად თვითდინებით არ მომხდარა. ამ პროცესს — ერთა აყვავების, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანების, ურთიერთდაინტერესებული თანამშრომლობის პროცესს მუდამ წარმართავდა კომუნისტური პარტია, უზრუნველყოფილი იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის მტკიცე განხორციელებით, რომელსაც საფუძვლად უძევს ხალხთა თანასწორობის, არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტობრივი თანასწორობის, მათი თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების აღიარება.

რა თქმა უნდა, ამ დიდ საქმეში იყო შეცდომებიც და ხარვეზებიც (ესეც ვიცით, ამას არ ვმალავთ და გვახსოვს). გამწვავებანიც ყოფილა, მაგრამ ყოველივე ეს არ ცვლის საბჭოთა კავშირში ხალხთა და ეროვნებათა გაერთიანებისათვის პარტიის ნაყოფიერი საქმიანობის მთავარ შედეგს. ეს არ ცვლის ხალხთა იმ დიადი თანამეგობრობის შედეგებს, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირს შეადგენს.

მთავარი კი ის არის, რომ შევქმენით მძლავრი, მრავალეროვანი, აყვავებული სახელმწიფო, სადაც უზრუნველყოფილია ფართო შესაძლებლობანი თითოეული ხალხისათვის, სოციალისტური წყობილების პირობებში მისი სოციალური, ეროვნული და კულტურული განვითარებისათვის.

ჩვენ მართლაც ძალიან ბევრ რამეს შევეჩვიეთ, ბუნებრივად მიგვაჩნია. არადა, ეს ხომ სრულიად უნიკალური მოვლენაა — ჩვენი საბჭოთა კავშირი. ჩვენ განუყრელად ვართ ერმთანეთთან დაკავშირებული.

ავიღოთ, თუნდაც, ესტონეთის ურთიერთობა სხვა რესპუბლიკებთან, ან ამ ურთიერთობის მართო ერთი მხარე — ეკონომიკური. ეს სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც ბევრ სახელმწიფოში სხვა პირობებში ვერ წყდება.

მე უკვე ვთქვი, რომ დღევანდელ ესტონეთს საგრძნობი წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ქვეყანა რესპუბლიკიდან იღებს თავდაცვითი მრეწველობის, სამოქალაქო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას, სასურსათო საქონელს. ჩვენს ხელთ არსებული სატერიტორიათმორისო ბრუნვის უკანასკნელი გაანგარიშების მონაცემებით, ესტონეთის წვლილი წელიწადში შეფასებულია დაახლოებით 2,5 მილიარდი მანეთის ოდენობით.

ეს შთამბეჭდავი ციფრებია. მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, საკითხის ერთი მხარეა, ამ ყოველსმომცველი ურთიერთობის ერთი მხარე.

მეორე კი ის არის, რომ ესტონეთი საერთო-საკავშირო რესურსებიდან იღებს ბევრი სახეობის სათბობს, ნაგლინს, მანქანათმშენებლობის ნაწარმს, ქიმიურ პროდუქტებს, ნართს, სასუქებს, მარცვლეულსა და სხვა პროდუქციას. სულ, ამავე გაანგარიშების მონაცემებით, დაახლოებით 3 მილიარდი მანეთისას. აი იგი, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ცოცხალი დიალექტიკა.

მთავარი კი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავლს. მათი თავდადებული შრომა, მათი საქმე საამედოა, რადგან მათ პერსპექტიული პოლიტიკა და სტრატეგია აქვთ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის ხალხთა ჭეშმარიტად უდიდესი მიღწევებია. ორი გარემოების გამო მინდა ეს ვთქვა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოსსავე ვარ საბჭოთა ესტონეთში ჩემი პირველი ყოფნით მიღებული შთაბეჭდილებებით. და, მეორე, ჩვენ დავიწყეთ საიუბილეო წელი, ოქტომბრის 70 წლისთავის წელი, როცა, ბუნებრივია, ვუბრუნდებით ჩვენს ისტორიას, ვცდილობთ, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, შევაჯამოთ ჩვენნ საერთო ბრძოლის შედეგები, გამოვიტანოთ სამომავლო დასკვნები. დღეს ჩვენთვის უდავოა დასკვნა ჩვენი სახელმწიფოს მრავალეროვნული განვითარების გამოცდილებიდან — განვაგრძოთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ დაწყებული დიადი საქმე, გავაერთვე რსფსრ ლიტერატურული ფონდის შექმნა.

დასახულია გამოიცეს რომანგაზეთი მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის, გაიხსნას გამომცემლობების „სოვრემენნიკისა“ და „დეტსკაია ლიტერატურის“ განყოფილებები ციმბირში, გაფართოვდეს მხატვრული ლიტერატურის გამოშვება „მოსკოვსკი რაბოჩიში“, ყოველკვარტალური ალმანახი „სოვრემენნაია დრამატურგია“ გარდაიქმნას ექვსჯერად ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალად. სსრ კავშირის მწერალთა კავშირს დაევალა შეიმუშაოს წინადადებანი გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის; სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს — განაზრაფელენ ტულის სტამბის რეკონსტრუქცია, რომელიც უშვებს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ წიგნის პროდუქციას; სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, სსრ კავშირის გამსახკომსა და მოსკოვის საქალაქო აღმასკომს — განახორციელონ მოსკოვში „ლიტერატურნაია გაზეტას“ სარედაქციოსაგამომცემლო კორპუსისა და სტამბის რეკონსტრუქცია. ახალი ამბების საგენტოს დაევალა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის შეკვეთითა და სახსრებით გამოუშვას წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები კინოხელოვნების შესახებ უცხო ენებზე. სსრ კავშირის გამსახკომს — 1988 წლიდან მოყოლებული ერთნახევარჯერ გაადიდოს ბეჭდვითი სიტყვის ლიმიტები, რომელიც ეძლევა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირს, რათა გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორის“ ლენინგრადის განყოფილებამ გამოუშვას სანოტო ლიტერატურა.

სსრ კავშირის გამსახკომსა და შემოქმედების კავშირებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1987 წლის შეიტანონ წინადადებანი ლიტერატურულ-მხატვრული პერიოდიკის — ქვეყნის შემოქმედებითი კავშირების ბეჭდვითი ორგანოების შემდგომი განვითარების შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს მათი იდეურ-მხატვრული შინაარსის გაუმჯობესება, სტრუქტურის, მოცულობის, ტიპაჟის, სარედაქციო შტატების, საჰონორარო ფონდების მოწესრიგება. სსრ კავშირის მწერალთა კავშირს ნება ეძლევა მთელი რიგი ჟურნალების შტატებში შემოიღოს საერთაშორისო ცხოვრების განყოფილების კონსულტანტის ან გამგის თანადგომობა; სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირს — გაზეთდოს ჟურნალ „მუზიკალნაია ჟიზნის“ მოცულობა.

მიღებულია სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირისა და სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ 1988 წლის 1 იანვრიდან 4 გვერდით გაიზარდოს გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ შაბათის ნომერი, რომლის მიზანია კიდევ უფრო ფართოდ გაანშუქოს კინოსა და თეატრის გაბედვითარების პრობლემები, კინემატოგრაფისტთა და თეატრალურ მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირების ცხოვრება.

განისაზღვრა ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საქმიანობის სრულყოფისათვის გამოიზნული ღონისძიებანი. დაისახა ამ ინსტიტუტში შეიქმნას ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის კათედრა, დაახლოებით 10 კაცამდე გაიზარდოს ასპირანტურაში ყოველწლიური მიღება. მოსკოვის საქალაქო აღმასკომს დაევალა 1987-1988 წლებში გამოძებნოს საშუალებანი, რათა ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს გამოუყოს დამატებითი ფართობი, აგრეთვე დახმარება გაუწიოს ინსტიტუტს კაპიტალურ რემონტსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის გაფართოებაში.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირთან შეთანხმებით წინადადება მიეცა ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შექმნას სსრ კავშირის ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი თეორიის სექტორ-ლაბორატორია, რომელსაც ექნება საკონსულტაციო-საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციები.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის გამომცემლობებს, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საავტორო უფლებათა საკავშირო საგენტოს, შემოქმედებითს კავშირებს რეკომენდაცია მიეცათ შეიმუშაონ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში საავტორო უფლების სრულყოფისათვის გამიზნული წინადადებანი.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინან-

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“.

„შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარება, საზოგადოების სულიერი ცხოვრებაში მათი როლის გაძლიერება იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნის პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს შემოქმედებით კავშირებს. განისაზღვრა მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა, თეატრალურ მოღვაწეთა და მხატვართა კავშირების მუშაობის შემდგომი გააქტიურების, ამ კავშირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ბინებისა და შემოქმედების სახლების მშენებლობის, აგრეთვე, საგამომცემლო საქმიანობის, ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის სრულყოფის ღონისძიებანი.

მიღებულია წინადადებანი სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირისა და კინოს მეგობართა საკავშირო საზოგადოების შექმნის შესახებ, სსრ კავშირის მწერალთა და რსფსრ მწერალთა კავშირებისა — მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს შემოქმედებითი კავშირების ორგანიზაციული საქმიანობა, დადგენილება ითვალისწინებს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის კინემატოგრაფიული ფონდი. (სსრ კავშირის კინოფონდი). მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ მოღვაწეთა კავშირებსა და თეატრალურ საზოგადოებებს ნება ეძლევათ შექმნან თეატრალური ფონდები. დადგინდა, რომ სსრ კავშირის კინოფონდისა და მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალური ფონდების სახსრები იქმნება კინოფილმების ჩვენებისათვის ანარიცხებითა და თეატრალური სპექტაკლების, მათი კუთვნილი საწარმოების შემოსავლით, აგრეთვე შესაბამისი ბიუჯეტებით, გათვალისწინებუ ლ ი ა

(დასასრული მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ასე რომ, პარტიული კომიტეტების ამოცანაა უზრუნველყონ მთელი ამ მრავალფეროვანი სისტემის მუდმივი ხელმძღვანელობა და აქტიური საქმიანობა. უზრუნველყონ მათი რეალური მონაწილეობა გარდაქმნის პროცესში, მათი რეალური წვლილი. ამისათვის კი უნდა გამოვიყენოთ პარტიული ორგანოს ავტორიტეტიც, მეთოდებიც, რომლებიც მისთვის არის დამახასიათებელი.

რაიკომი ზემოქმედებს ყველა პროცესზე, ყველა ორგანიზაციაზე, არჩევს და ანაწილებს კადრებს, დემოკრატიზაციის უკვე ახალი მომენტების შესაბამისად, ზრდის კადრებს, ეწევა შესაბამის ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას.

შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტია პირველად პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობა. რეალურად ჩავაბათ გარდაქმნის პროცესში თითეული კომუნისტი პირველადი პარტორგანიზაციების ინიციატივის, თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე — ნიშნავს არსებითად ყველა შრომითი კოლექტივი, მთელი პარტია, მთელი ხალხი ჩავაბათ გარდაქმნაში. რადგან ასეთი სისტემა, მძლავრი სისტემა, რომელიც მთელ ქვეყანას, მთელ ჩვენ საზოგადოებას მოიცავს, არა აქვს არც ერთ ორგანიზაციას. აი, რა არის პოლიტიკური ხელმძღვანელობის არსი, აი, რაზე უნდა ვიფიქროთ, აი, რა მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მინდა შევეხო ადამიანის ფაქტორს. ახლა ეს თემა პირზე აკერიათ პარტიულ მუშაკებს. ეს კარგიცაა. მაგრამ შესაძლოა, უკვე ცუდიც იყოს, და უკვე აქ არის გარკვეული საშიშროება. საქმე ის არის, რომ ყველას არ შეუფუჭებია თავი გაეგო, თუ როგორ გააქტიუროს ეს ადამიანის ფაქტორი, გადამწყვეტი გახადოს იგი გარდაქმნაში. სწორედ ეს იყო, ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მთავარი თემა.

და ამ მიზნით პლენუმმა დასახა დემოკრატიის ფართო განვითარების მუშვეობით გარდაქმნის პროცესში მშრომელთა ჩაბმის კონკრეტული პროგრამა. ერთსა და იმავეს არ გავიმეორებ ამ თემაზე, ბევრი რამ უკვე ვთქვი, მაგრამ ეს კვლავ ახალ მოთხოვნებს უყენებს და სრულიად ახალ სიტუაციას უქმნის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს, მთელ კადრებს, ყველა რგოლს, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, რაიონულ და საქალაქო რგოლს, რადგან ეს რგოლი ყველაზე ახლოს დგას შრომითს კოლექტივებთან, ყველაზე ახლოს დგას მშრომელ მასებთან. და ამ საკითხოროტი საკითხთა გადაწყვეტის მიხედვით იმსჯელებენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, რაიონული და საქალაქო რგოლის კადრების პოზიციის შესახებ, იმსჯელებენ, რამდენად აქტიურად, თანამიმდევრულად ხორციელდება საქმით საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიის გზა.

ახლა ხომ სიტუაცია ასეთია: არის პოლიტიკური გეზი, არის კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რათა განვავითაროთ ეს პროცესები, არის ხალხის მხარდაჭერა. მაგრამ დღეს უნდა ავამოქმედოთ პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების ის რგოლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მშრომელებთან. აი, რატომ ვლაპარაკობთ რაიონული და საქალაქო რგოლის განსაკუთრებული როლის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შესახებ. მხოლოდ თავდაჯერებულ ადამიანებს შეიძლება ეგონოთ, თითქოს ეს მარტივი საკითხი იყოს, თითქოს იგი ჩვენში ძირითადად უკვე გადაწყვეტილიყოს, აქ მხოლოდ ზოგიერთი რამოა დარჩენილიყოს გამოსასწორებელი.

პირდაპირ უნდა ვთქვა, დღეს ჯერ კიდევ შეგვიძლია ამ საკითხზე პაერრობა, აზრთა გაზიარება, მიდგომის ძიება, თუ როგორ განვახორციელოთ იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. დღეს ჯერჯერობით მართლზომიერია გაოცებული კითხვები, რადგან ჩვენ ყველაფერი ღრმად უნდა გავიაზროთ. მაგრამ უკვე ხვალ ის, ვინც იჯიუტებს, ის, ვინც ვერ გიგებს დღევანდელობის მოთხოვნებს, უბრალოდ უნდა ჩამოგვეცალოს გზიდან.

ცხოვრებამ, და ეს ჩანს აქ ესტონეთში გამართული საუბრებიდან, დაგვანახვა, რომ საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის ამოცანა ჩვენი საზოგადოების ყველაზე აქტუალური, ყველაზე საჭირბოროტო მოთხოვნილება გახდა.

და კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე ისეთ მეტად მნიშვნელოვან თემას, რომელზეც გუშინ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

სთა სამინისტროს, სსრ კავშირის გამსახკომს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სახტელერადიოს, შემოქმედებითს კავშირებს; საავტორო უფლებათა საკავშირო საგაზეტოს დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით 1987 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანონ წინადადებანი: ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, მათი ხელახალი გამოცემისათვის, საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის მოწესრიგების შესახებ; რადიოთი, ტელევიზიით, თეატრში, გრამჩაწერით გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა გამოყენებისათვის, მხატვრული ლიტერატურის თარგმანისათვის ჰონორარის განაკვეთებისა და ანაზღაურების წესის შეცვლის შესახებ; მცირე ეროვნებათა ენებზე გამომავალი გამოცემების საწყისი ტირაჟების განსაზღვრის შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საფინანსო გეგმებში გაითვალისწინოს ფულად ასიგნებათა საჭირო მომატება კავშირისა და შესაბამისი გამომცემლობების საკუთარი სახსრების ხარჯზე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ობიექტების (მათ შორის — ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების რედაქციების) კაპიტალური რემონტისა და ექსპლოატაციისათვის, აგრეთვე შემოქმედებითი მიზნით მწერალთა მივლინებებისათვის, ახალგაზრდა და დამწყებ ლიტერატორებთან მუშაობის ორგანიზაციისათვის გამოყოფილი სახსრების მომატება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა გეგმების პროექტებში გაითვალისწინოს სსრ კავშირის კინოატორგაფისტთა კავშირისათვის კაპიტალდაბანდებათა საჭირო ლიმიტების გამოყოფა მოსკოვში საკავშირო კინოცენტრისა და ლენინგრადში კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს საწარმოო ორპუსის მშენებლობის დასამთავრებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოსკოვის საქალაქო აღმასკომს დაევალათ უზრუნველყონ მოსკოვში მუსიკის სახლის, აგრეთვე რუსეთის სფსრ მ. ე. პიატნიცკის სახელობის რუსული სახელმწიფო აკადემიური ხალხური გუნდის, ნ. პ. ოსიპოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული ხალხური ორკესტრისა და სსრ კავშირის ხალხური ეკიპის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კოლექტივებისათვის მხატვრული შემოქმედების სახლის დაპროექტება და მშენებლობა; რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს — დააპროექტოს და ააშენოს მსახიობის ცენტრალური სახლი.

დასახულია შემოქმედების სახლების კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი. საჭიროდ არის მიჩნეული: მოწესრიგდეს შემოქმედებითი კავშირების წევრთა — დიდი სამამულო ომის მონაწილეთა, აგრეთვე იმათი საპენსიო უზრუნველყოფა, ვინც პენსიაზეა და განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას; მოწესრიგდეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, სსრ კავშირის ჟამთმზომრეტორთა კავშირის, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის იმ წევრებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდის საკითხები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ უყიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში და არ ირიცხებიან საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შტატებში.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შემოიტანონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მიზნად მაყურებელთა თეატრებისა და თოჯინების თეატრების შემოქმედებით მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების გაუმჯობესების შესახებ.

ნემოქმედებითი კავშირების სახსრებით XII და XIII ხუთწლედებში აშენდება სცენის ვეტერანთა სახლები კალინინში, სრულიად რუსეთის კინოს ვეტერანთა სახლი ლენინგრადში, სასტუმროები მოსკოვში.

გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და სოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და სოლქო აღმასკომებს განიხილონ შემოქმედებითი კავშირების დგომლობრივი ორგანიზაციების მატერიალური ბაზის განვითარების, ბინებით, სახელოსნოებით, სამკურნალო დაწესებულებებით ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა უზრუნველყოფის საკითხები.

ამ საკითხზე აგრეთვე მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულება საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი შრომის ანაზღაურების მოწესრიგების, მოწყობილობით, საორგანიზაციო ტექნიკისა და ტრანსპორტის საშუალებებით შემოქმედებითი კავშირების ორგანიზაციათა და საწარმოთა მომარაგების შესახებ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა კულტურის იდეურ-მხატვრული პოტენციალის შემდგომი განმტკიცების საქმეს, ნაყოფიერ სტიმულს მისცემენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა მოღვაწეობას.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

20-21 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო და სოლქო კომიტეტებთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიის მთელ რიგ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, საერო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების პარტკომებთან, რაიკომების უფლების მქონე დიდ საწარმოთა და გაერთიანებათა პარტკომებთან არსებული პარტიული კომისიების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პოლიტორგანოებთან არსებული პარტიული კომისიების პასუხისმგებელი მდივნები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლ ი ს კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების, სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პასუხისმგებელი მუშაკები, სხვა ცენტრალური ორგანიზაციებისა და უწყებების, პრესის ორგანოების წარმომადგენლები.

დროის მოთხოვნების სულისკვეთებით პარტიული კონტროლის გარდაქმნის შესახებ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმ.

თათბირის მიზანია, აღნიშნა მომხსენებელმა, გარდაქმნის პირობებში მუშაობის გამოცდილების გაზიარება, პარტიის XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებებიდან გამომდინარე ამოცანების განხილვა. ჩვენ ვალდებული ვართ სერიოზული დასკვნები გამოვიტანოთ კრიტიკიდან, რომელიც პლენუმზე გამოითქვა ახლო წარსულში კონტროლის ორგანოების როლის შესუსტებასთან დაკავშირებით. უნდა დავსახოთ საბჭოთა საზოგადოების განვითარების აქტუალური პრობლემების გადაჭრაში პარტიის საკონტროლო ორგანოების უფრო ქმედითი მონაწილეობის გზები.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ახლო წარსულში საკადრო პოლიტიკაში სერიოზული დარღვევების ერთ-ერთი მიზეზი იყო კონტროლის ორგანოების როლის შესუსტება, რომელთა მუშაობა ხშირად ამოიწურებოდა სხვადასხვა საჩივრისა და საყოფაცხოვრებო უწესრიგობის ზერელე შემოწმებით, განხილვით.

პარტიული კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ პარტიის დადგენილებათა შესრულების ქმედითი შემოწმება, მათი საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესება. პარტიის საკონტროლო ორგანოები ვალდებული არიან მიზანმიმართული, ქმედითი კონტროლი დაუწესონ გარდაქმნის, დაჩქარების მიმდინარეობას, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებით, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ უბანზე კადრების მუშაობას.

უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა კადრების, ყველა კომუნისტის მიმართ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახისათვის.

ყველგან უნდა გავადიდოთ კომუნისტთა პასუხისმგებლობა წარმოების ინტენსიფიკაციის, მანქანათმშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი სხვა დარგების უპირატესი განვითარების საკითხთა გადაწყვეტისათვის, ხელმძღვანელ კადრებს გადიდებულ მოთხოვნებს ვუყენებთ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოების, გაერთიანებებისა და დარგების გადაყვანის პირობებში. უნდა გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც ხელს უშლის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას, წარმოების მართვის დემოკრატიზაციას. კომისიების გეგმებში უფრო სრულად უნდა აისახოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში, ეფექტიანობისა და ხარისხის გადიდებისათვის კომუნისტთა მუშაობისადმი კონტროლის საკითხები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისადმი კონტროლი თანმიმდევრულად და მიზანდასახულად უნდა ხორციელდებოდეს ყველა დარგში, ყველა რესპუბლიკასა და რეგიონში. მხედველობის არეში მუდმივად უნდა იყოს უმრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაც, მკაცრად უნდა აღიკვეთებოდეს უკანონო გამორჩენის ცდები, ამასთანავე, ამ საქმეში არ უნდა უშვებდნენ გადახრებს.

პარტიული კონტროლის ორგანოები მოვალენი არიან ყველაზე სერიოზული ზომები მიიღონ იმით მიმართ, ვინც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოტყუებით სარგებლობს კომუნისტის სახელწოდებით და საქმით კომუნისტურ პოლიტიკას კი არ ახორციელებს, არამედ ბიუროკრატიულ, სოფრომოსო პოლიტიკას. ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ სტილს გადაწყდა პარტიული კონტროლი, მაგალითად, სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროს აპარატში, საიდანაც მარტო 1986 წლის განმავლობაში საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაეგზავნათ 240 ათასზე მეტი ბრძანება, განკარგულება, წერილი და დეპეშა.

მოხსენებაში აისახა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისათვის გააკრიტიკეს პარტიის ბაკირეთის, ტიუმენის, ვოროშილოვგრადისა და ზაგიერთ სხვა საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიები. მთელ რიგ ადგილებში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის სახით შემოილეს სპირტიანი სასმელების გასაყიდი ტალონები, რაც ვიპრობის წესების უხეში დარღვევაა. პარტიული კონტროლის ორგანოები მოვალენი არიან ადგილებზე გაერკვნენ ამ საქმეში და განსახორციელონ საჭირო ღონისძიებები. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წარმატებით შეასხას ხორცი პარტიის გეზმა, დამკვიდრდეს ფხიზელი ცხოვრების წესი.

შემდეგ მ. ს. სოლომენცევი შეეხო იმის საჭიროებას, რომ ყოველნაირად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პარტიის რიგების სიწმინდის საწესებო დარსტრიები, გაძლიერდეს კომუნისტების ავანგარდული როლი საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში, ნეგატიურ ფაქტებთან, მეტადრე ნაციონალისტურ გამოვლინებებთან ბრძოლაში. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტებს, როცა ქვეყანის ზოგიერთ რეგიონში არღვევენ კადრებთან მუშაობის, მათი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ პრინციპებს.

მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისათვის კომუნისტების მიერ გამოგზავნილ აპელაციებზე მუშაობის შედეგების მიხედვით გაანალიზდა პარტიის დისციპლინური პრაქტიკა. აღინიშნა, რომ აპელაციათა გამომგზავნებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება ეხამებოდა პრინციპულობასა და მომთხოვნელობას მათი შეცდომების შეფასებაში. ამასთან ერთად მთელ რიგ რესპუბლიკურ და საოლქო პარტორგანიზაციებში იყო პერსონალური საქმეების განხილვისადმი ფორმალური მიდგომის შემთხვევები. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯეროვანდებულად არიდებს კომუნისტ-ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობას პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე, ქვემოდან კრიტიკას.

მრავალ პარტკომთანაა ჯერ კიდევ არ ჰყოფნის მიზანდასახულობა, კონტროლის მთავარ საკითხებზე კონკრეტიკაციის უნარი. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი გაუმართლებლად უვიწროვდება ამ საქმიანობის არეს, ზღუდავს მხოლოდ და მხოლოდ პარტიაში მიღების საკითხების, პერსონალური საქმეების, მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების განხილვით. კონკრეტულ დახმარებას საჭიროებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის კომისიები. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა კრიტიკულად განიხილა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის აპარატში წერილებზე და აპელაციებზე მუშაობა. ნიშნადობლივია, რომ აპარატკონტროლის კომისიებს ახლა გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ კომუნისტები და უპარტიოები. ბოლო დროს მშრომელთა განცხადებებით გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წერილები კრიტიკის ჩახშობის თაობაზე. ამსოლუტურად შეუწყნარებელია ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელთა ცდები მიჩქმალონ პრესის კრიტიკული სიგნალები. ამასთან უკრძინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და მთელ რიგ საოლქო კომიტეტებთან, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიებმა წაუყრეს კრიტიკის ჩახშობის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს.

თათბირზე განხილეს აგრეთვე პარტიული კონტროლის ორგანოთა მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის, კონტროლის სულ უფრო მეტად მეცნიერული გეგმიან საფუძველზე განხორციელების აქტუალური საკითხები.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შრომის დისციპლინის უხეში დარღვევების საკითხი.

აღინიშნა, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაცია შეეგება შრომის დისციპლინის დაბალ დონეს, არ ახორციელებს ყველა ღონისძიებას შრომითს კოლექტივებში სრული წესრიგის დამყარებისათვის. დისციპლინის დაცვისადმი ასეთი დამოკიდებულება არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმისა და „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის“ მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების მოთხოვნებს.

იმ დროს, როცა ფართოდ გაიშალა საყოველთაო გარდაქმნა, როცა შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, ორგანიზებულობისა და წესრიგის გაძლიერება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით შეუწყნარებელია შრომის დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები, რომლებიც გამოვლინდა ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. მაგალითად, შემოწმებისას გამოირკვა, რომ თანამშრომელთა თითქმის ნახევარი დაგვიანებით მოვიდა სამუშაოზე, ზოგიერთები კი საერთოდ არ ყოფილან მთელი დღის განმავლობაში. დაგვიანებისა და გაცდენას ინსტიტუტში სისტემატური ხასიათი აქვს, მაგრამ შრომის დისციპლინის დამრღვევების მიმართ ზომიქმედების მტკიცე ღონისძიებანი არ ხორციელდება, რაც ყოველისპატიების და განუკითხაობის ატმოსფეროს ქმნის, სუსტია ქვეგანაყოფების ხელმძღვანელების, პარტიის წევრებისა და კომკავშირელების პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დაცვისათვის, რომელთა შორისაც აგრეთვე ცოტა როდია დამრღვევი. პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს არა აქვთ შრომის განმტკიცებისადმი კოტროლის სისტემა, უმოქმედოდაა სახალხო კონტროლის ჯგუფი. კოლექტივში წარმოებული აღმზრდელობითი მუშაობა ფორმალურია და ვერ უზრუნველყოფს სათანადო წესრიგს.

მთელი რიგი მეცნიერი თანამშრომლები, აგრეთვე შეთავსებით მომუშავენი, რომლებიც ინსტიტუტში გაფორმებული არიან არასრულ განაკვეთზე, იმ დოკუმენტების უქონლობის გამო, როლებიც განსაზღვრავს მათს შრომითს დღეს, ადმინისტრაციის კონტროლს არ ექვემდებარებიან და სამუშაოზე რეგულარულად არ ცხადდებიან. ინსტიტუტის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფენ დიდნაყოფიერი მუშაობის, დაძაბული შრომის შესაბამის ორგანიზაციულ პირობებს, სუსტად იყენებენ არსებულ სამეცნიერო პოტენციალს კოლექტივის წინაშე დასახული მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებისათვის. დაწესებულებაში სუფეგს გულარხეინობის, ნაკლოვანებებისადმი, შრომის დისციპლინის დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების ვითარება.

შეშფოთებას იწვევს, რომ ეს შრომითი კოლექტივი გამონაკლისი არ არის. თბილისში მოწყობილი შრომის დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების დროს გამოვლინდა დარღვევათა მრავალი ფაქტი, რომლებშიც შემჩნეული არიან აგრეთვე სხვა რეგიონების წარმომადგენლნი. ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში დისციპლინის განმტკიცებისათვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის დაძლევისათვის ბრძოლა ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არადამაკმაყოფილებლად ცხო ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სათანადო წესრიგის უზრუნველყოფისათვის, კოლექტივში შემოქმედებითი მეცნიერული ძიების ატმოსფეროს შექმნისათვის.

ცნობად არის მიღებული, რომ სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა შრომის დისციპლინის მდგომარეობის საკითხი და ინსტიტუტის დირექტორს გ. ნ. გიგაურს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, დირექტორის მოადგილეს, დისციპლინის განმტკიცების შტაბის თავმჯდომარეს ე. დ. ლობჟანიძეს — საყვედური პირად ბარათში შეტანით, დირექტორის მოადგილეს ნ. გ. ტარასაშვილს — სასტიკი საყვედური, პარტიული ბიუროს მდივანს ჯ. ვ. ლომძიეს — საყვედური პირად ბარათში შეტანით, პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარეს მ. ა. შარაბიძეს — სასტიკი საყვედური. დაისაჯნენ სხვა ბრალეული პირებიც.

ინსტიტუტის დირექტორი გ. ნ. გიგაური გაფრთხილებულია, რომ ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამეცნიერო დაწესებულებაში წესრიგის დამყარებისათვის და ანალოგიური ფაქტების გამეორების შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენებენ პარტიული

სტიქია და ადამიანები დახმარება ყოველმხრიდან მოდის

ამ ორი თვის განმავლობაში, რაც ჯავის სტიქიამ შემოუტია, პირველად მოხდა, რომ რაიონს თავზე არ დასტრიალებენ ვერტმფრინავები. ეს ავდრის ბრალი როდია — უბრალოდ ვერტმფრინავები აღარ არის საჭირო. ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით, უპირველესი საჭიროების საგნებით. მეტი წილი დაზარალებული სოფლებისაკენ გაყვანილია ქაშანები, რომლებთთაც მარხილებით მიაქვთ საშენი მასალა, პარუტყვის საკვები.

უკვე ცნობილია, რომ მთლიანად ავტონომიურ ოლქში, ძირითადად ჯავის რაიონში, დაიღუპა 300 სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, დაზიანდა და დაინგრა 115 საცხოვრებელი სახლი, 33 სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, 17 საწყობი, 25 მაღაზია, 16 კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობა. აღსადგენია 100 კილომეტრზე მეტი საავტომობილო გზები, 950 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები და 130 კილომეტრი კავშირგაბმულობის ხაზები. წყალმა დატბორა 320 ჰექტარი საშემოდგომო და მრავალწლოვანი კულტურების ნათესები და ნარგავები. სტიქიით გამოწვეული ზარალი, წინასწარი მონაცემებით, 10 მილიონ მანეთს სჭარბობს.

ავტონომიურ ოლქს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, მაგრამ დახმარება ყოველი მხრიდან მოდის და ძალების ჯეროვანი მობილიზაციის პირობებში უსაშველო არაფერი იქნება. ამის შესახებ ესაუბრებოდნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გილაშვილს, რომლებიც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ფ. ს. სანაკოევთან და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარესთან ა. ა. კაჩმაზოვთან ერთად იყვნენ სოფელ როკში, რომელიც ტარასკაკასის ავტომაგისტრალის უმაღლეს წერტილში მდებარეობს, და ჯავის რაიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში.

სოფლის მშრომელებმა, რომლებსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეხვდნენ, მხურვალე მადლობა უძღვნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს მთავრობას, ყველა მცხოვრებს დახმარებისათვის, რომლებსაც ნიადაგ გრძნობენ ამ ძნელბედობის ჟამს.

(საძინფორმი).

პროფკავშირული პრესის ფურცლებზე

მრავლის-მოქცევლად, პროფესიული დონით



სალაპარაკოა ყრილობის დელეგატებს!

იშვიათია ცხოვრების სფერო, რომელისადმიც ხელი არ მიუწვდებოდეთ პროფკავშირებს და რომელსაც თავიანთ სასიკეთო კვალს არ აჩნევდნენ.

დღეს, 24 თებერვალს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა პროფკავშირების XVIII ყრილობა, ორიოდე კვირის წინ კი მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის პროფკავშირების ფორუმმა. სწორედ პროფკავშირების მრავალფეროვან და სისხლსავსე ცხოვრებაზე, მათს ავ-კარგზე მოუთხრობენ მკითხველებს საქართველოს პროფსაბჭოს ნაბეჭდი გამოცემები — საინფორმაციო ყოველთვიური გაზეთის „შრომისა“ და ჟურნალის ტიპის ბიულეტენის „საქართველოს პროფკავშირების“ წლევანდელი, გაორმაგებული ინვარეთებერვლის ნომრები, რომლებიც რესუბლიკის ყრილობისადმია მიძღვნილი.

ორივე გამოცემა სხვადასხვა ფორმით, თითქმის მთლიანად მოიცავს ჩვენი პროფესიული კავშირების საქმიანობას, ყურადღებას იპყრობს დღევანდელ მოთხოვნათა თანაყოერადი მასალების შინაარსით, აქტუალური და „მრავალფეროვანი თემატიკით, ლიტერატურული დონით, კომპეტენტური, სპეციალისტი ავტ

სკკპ XXVII ყრილობის წლისთავისადმი

გარდაქმნა ბრძოლის წინა ხაზია!

სრული ერთი წელიწადია, რაც საბჭოთა ხალხი უოუმანად და დაბეჯითებით მიპყვება სკკპ XXVII ყრილობის მიერ ნაჩვენებ დიდი გარდაქმნების გზას, წარმატებით ახორციელებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიულ კურსს.

დრომ, სწორედ ყრილობისშემდგომმა ამ ერთმა წელიწადმა, თვალნათლივ დაანახვა ყველას, თუ რაოდენ სწორია, ბრძნულია და დროულია პარტიის ეს კურსი, რაოდენ შეესაბამება იგი ჩვენი საზოგადოების განვითარების ლოგიკას.

„თუ ზოგადად შეეჯახებით პოლიტიკურ შედეგს, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, — მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება, ძალას იკრებს პოზიტიური ტენდენციები“.

მაგრამ იანვრის პლენუმმა პრინციპულად იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ხანიკეთო ცვლილებები მაინც ნელა მიმდინარეობს, რომ გარდაქმნის საქმე მეტ მონდომებას, მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

როგორი იყო განვლილი წელი? რა პრობლემები, რა გადასაწყვეტი ამოცანები წარმოჩნდა ხანგლეთდ და სამერმისოდ გარდაქმნის გზაზე? — ამ კითხვებზე აზრის გაზიარება სთხოვეს „ოგონიოკის“ კორესპონდენტებმა სკკპ XXVII ყრილობის რამდენიმე დელეგატს.

ალეკსანდრ ბაბაიანი
ალეკსანდრ ბაბაიანი — თბილისის სამკერვალო უბრალოების „ეშორანის“ დირექტორი:

პრობლემები მაინც დაგვრჩა

დავიწყებ საუბარს იმით, რომ ყრილობის დამთავრებისთანავე ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედი პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ხუთწლედად გამოგვიცხადებია. რატომ? იმიტომ, რომ ეს პრობლემა ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია, ხარისხის გაუმჯობესება მიგვაჩნია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანადაც.

ცოტა როდი ვიმუშავეთ, მაგრამ სახარბიელო შედეგები მაინც არადა არ ჩანს, ჯერჯერობით დაბეთ შეფასებებთან ერთად ცოტა პრეტენზიები როდი მოგვდის „ავაჭრო ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან... გვიწუნებენ ხარისხს, არ აკმაყოფილებთ ასორტიმენტი, მოდა, ელეგანტურობა და სხვ.

დღეს ვინ არ იცის, რომ განსაკუთრებით მსუბუქ მრეწველობაში სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნა ხდება. იგი საბოლოო მიზნად ისახავს ხალხისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვებას. სწორედ ახალი სამეურნეო მექანიზმი თავისი პირობებით და მოთხოვნებით მკვეთრად უწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ამა დავუკვირდეთ, თუ აღრე პროდუქციის ხარისხის დონე თითქმის არ ახდენდა გავლენას ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობაზე და დაბალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებისათვის თვით საწარმოს კოლექტივი მატერიალურად ნაკლებად ისჯებოდა და ზარალდებოდა, დღეს მდგომარეობა შეიცვალა. მთლიანი მოცულობიდან დაბალი ხარისხის გამო ყოველი ერთი პროცენტი პროდუქციის უკან დაბრუნებისთვის მატერიალური წახალისების საგებმო ფონდი 5 პროცენტამდე მცირდება. ეს ფონდი მცირდება აგრეთვე დაწუნებული პროდუქციის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯებისა და დარიცხული ჯარიმების თანხებით.

ზარშან სწორედ ამ მიზეზებით მატერიალური წახალისების ფონდი 20 პროცენტით შეგვიცირდა. დიახ, თუ აღრე ცუდი ნახელავით ძირითადად მომხმარებელი და სახელმწიფო ზარალობდა, ახლა, ახალი პირობებით, ზარალს უშუალოდ მწარმოებლები — საწარმოს ხელმძღვანელები, მუშები და მოსამსახურეები გამოცდიან თავიანთ თავზე.

სკკპ XXVII ყრილობის, რომლის დელეგატი მეც ვარ, მთელი სულისკვეთება ის არის, რომ გარდაქმნათ ჩვენი საქმიანობა, ამასთან ყოველმხრივ დავაჩქაროთ ეს გარდაქმნა, ავიანაზღაუროთ დღემდე დაკარგული დრო, რა არის ამისათვის საჭირო? იანვრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზებულობასა და დისციპლინას. ისინი საჭიროა ყველგან და ყველფერში, მაგრამ განსაკუთრებით გვჭირდება თანამედროვე წარმოების, უახლესი ტექნოლოგიების ფართო გამოყენების პირობებში“.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში პირველი სიტყვა ჩვენ, კომუნისტებმა უნდა ვთქვათ. ამ ცოტა ხნის წინათ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ვთქვით, რომ გარდაქმნა მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებით, ხელმძღვანელების მხრივ მომთხოვნელობისა და კონტროლის გაძლიერებით უნდა გამოიხატოს, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კადრების მომზადებას (მხედველობაში მაქვს როგორც მუშათა კადრები, ისე ხელმძღვანელი მუშაკები).

ჩვენს ფაბრიკაში მეტად დიდი როლი აკისრიათ საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს (საამქროს უფროსებს, ოსტატებს). მათს კომპეტენტურობაზე, პრინციპულობაზე, კონტროლის დროულად და სწორად განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხის დონე — მუშაობის პრაქტიკაში დავნერგეთ როგორც სხვა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი მუშაკების, ისე ტექნოლოგების ანგარიშების მოსმენა, თუ როგორ ზრუნავენ ისინი კერვის ტექნოლოგიის მოწინავე მეთოდების დაუფლებისათვის, ნაწარმის მოდელირება-კონსტრუირების გაუმჯობესებისათვის, როგორ ახორციელებენ ცალკეული ოპერაციების კონტროლს.

სამწუხაროდ, წლების მანძილზე ბევრ მუშაკს ისე დაუძვეთოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, უგულოდ მუშაობას ისე შეეჩვია, რომ... ანაზღაურებას მაინც მივიღებთ და... ახლა ყველაფერი ძნელად გასასწორებელი გაგვიხდა. რა დაგიმალოთ, ბევრი ჩვენი ღონისძიება მიზანს ვერ აღწევს, ყველა სფეროში ნაკლოვანებები დაგვიგროვდა.

აი თუნდაც, რას არ ვცდილობთ, რომ ფაბრიკამ რიტმულად იმუშაოს, არ იყოს იერიშობანა, რომელიც უხარისხო ნაწარმის გამოშვების უმთავრესი მიზეზია, მაგრამ დღესაც შედეგები არადამაკმაყოფილებელია. თუ თვის პირველ დეკადაში გეგმას 25 პროცენტით ვასრულებთ, ხოლო მეორე დეკადაში — 30 პროცენტით, მესამე დეკადაში უკვე 45 პროცენტის ოდენობით ვცდილობთ პროდუქციის გამოშვებას. სანამ დეკადურად გეგმების თანაბარზომიერ შესრულებას არ მივაღწევთ, მაღალხარისხოვან პროდუქციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ასევე ძნელდება მთავარი მაჩვენებლის — მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. არარიტმული მუშაობის ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ ჩვენი მუშაკების უპასუხისმგებლობაა, რაღაც წლობით დამკვიდრებული ინერციაა, რომელიც დღემდე ვერ დაგვიძლევია.

ერთი რამეც მაქვს სათქმელი: პროდუქცია რომ მომხმარებლამდე თავიანი ფირსებებით მივიდეს, რეკლამის თანადგომაც არის საჭირო. პრესა, რადიო, ტელევიზია დიდ ადგილს უთმობენ წუნიანი პროდუქციის ჩვენებას. ასეთი კრიტიკა დიდად გვეხმარება. მაგრამ კარგი იქნება, თუ პროპაგანდა გაიწევა იმ კარგსა და ახალსაც, ყოველდღიურად რომ ჩნდება ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა ობიექტზე. მოდით ჩვენი პროდუქციის დაკარგული პრესტიჟის აღსადგენად ერთად ვიზრუნოთ!

ზინაიდა ბოლოტნიკოვა
ზინაიდა ბოლოტნიკოვა — ნაფტურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის იჯარული ბრიგადის ხელმძღვანელი:

მხოლოდ ჯანსაღი პაექრობით

უკვე წელიწადი შემოტრიალდა, მაგრამ ჯერაც არ განელებულა მოსკოვური დღეების შთაბეჭდილებანი. სკკპ XXVII ყრილობაზე ნანახი და განცდილი, მისი მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამი საგზლად მიპყვება ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას. მას შემდეგ მე თითქოს სხვა ადამიანი ვარ: ამაღლებული, გრძნობამომატებული, საქმიანი...

დიახ, ყრილობის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ბრიგადული იჯარით შრომა ჩვენს მეურნეობაში მანამდე დავიწყეთ, მაგრამ შარშან იგი მაღალ საფეხურზე ავიყვანეთ. ჩემი ბრიგადის მწყემს-მწველავები და-ძმებივით შეხმატკბილებულნი ვშრომობთ, პირუტყვს არ ვაკლებთ მოვლასა და მზრუნველობას.

ჯანსაღი შრომითი პაექრობა ბევრ ფაქიზ მეტად დიდი როლი აკისრიათ საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს (საამქროს უფროსებს, ოსტატებს). მათს კომპეტენტურობაზე, პრინციპულობაზე, კონტროლის დროულად და სწორად განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხის დონე — მუშაობის პრაქტიკაში დავნერგეთ როგორც სხვა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი მუშაკების, ისე ტექნოლოგების ანგარიშების მოსმენა, თუ როგორ ზრუნავენ ისინი კერვის ტექნოლოგიის მოწინავე მეთოდების დაუფლებისათვის, ნაწარმის მოდელირება-კონსტრუირების გაუმჯობესებისათვის, როგორ ახორციელებენ ცალკეული ოპერაციების კონტროლს.

სამწუხაროდ, წლების მანძილზე ბევრ მუშაკს ისე დაუძვეთოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, უგულოდ მუშაობას ისე შეეჩვია, რომ... ანაზღაურებას მაინც მივიღებთ და... ახლა ყველაფერი ძნელად გასასწორებელი გაგვიხდა. რა დაგიმალოთ, ბევრი ჩვენი ღონისძიება მიზანს ვერ აღწევს, ყველა სფეროში ნაკლოვანებები დაგვიგროვდა.

აი თუნდაც, რას არ ვცდილობთ, რომ ფაბრიკამ რიტმულად იმუშაოს, არ იყოს იერიშობანა, რომელიც უხარისხო ნაწარმის გამოშვების უმთავრესი მიზეზია, მაგრამ დღესაც შედეგები არადამაკმაყოფილებელია. თუ თვის პირველ დეკადაში გეგმას 25 პროცენტით ვასრულებთ, ხოლო მეორე დეკადაში — 30 პროცენტით, მესამე დეკადაში უკვე 45 პროცენტის ოდენობით ვცდილობთ პროდუქციის გამოშვებას. სანამ დეკადურად გეგმების თანაბარზომიერ შესრულებას არ მივაღწევთ, მაღალხარისხოვან პროდუქციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ასევე ძნელდება მთავარი მაჩვენებლის — მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. არარიტმული მუშაობის ძირითადი მიზეზი

ალეკსანდრ ბაბაიანი

ინერციით სვლა დანაშაულია

ჯაკიბეი აიბა — გუდაუთის რაიონის ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი:

ამ მოკლე დროში ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკაში და თვითონ ჩვენს კოლმეურნეობაშიც ლენინგორელი მეგობრებიც. მეტი ხომ არ შეიძლებოდა? რა თქმა უნდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენც და მათაც ადგილობრივი ჯიშის ძროხები გვყავს. გადაუდებლად საჭიროა ვიზრუნოთ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. საკვები ხომ ჯიშიანს თითქმის მეტი არ უნდა, მაშ რატომ ვკარგავთ დიდძალ პროდუქციას, როცა შეგვიძლია 4000-5000 კილოგრამი რძე მივიღოთ გაუმჯობესებული ჯიშის ძროხებზე?!

მინდა გავიმეორო, ჩვენთან შრომითს პაექრობაში ჩაბმულებს ვაკობეთ ჯერჯერობით, მაგრამ ისიც სათქმელია, შევინარჩუნებთ თუ არა შემდეგში მოწინავეობას? ისინი ხომ, ვისაც ვეჯიბრებით, ჩვენზე უკეთეს პირობებში არიან: აქვთ კაპიტალური ბოსლები, დანერგილია მექანიზაცია. ჩვენი მეურნეობის ფერმებში კი არავითარი მექანიზაცია არ არის. პირუტყვი დასარწყულებლადაც გარეთ გამოგვყავს. ვერც საკვების დასამზადებელი საამქრო მოვაწყვეთ. მეურნეობის ხელმძღვანელობა ბოსლის აშენებას, მაგრამ როდის? 5 წელია პროექტი შედგა, დაფინანსება კი დღემდე არ გვეღირსა. ხელს შრომა ნაწილობრივ მაინც უნდა შეგვიმუშაებდეს, ფერმაში მოეწყოს მექანიზებული ნაკელის გატანა, აღარაფერს ვამბობ პირუტყვის დარწყულებაზე, თბილ წყალზე, მეცხოველეთა დასასვენებელ ოთახზე... პრიმიტიული, ხელის შრომა ხომ პროდუქციასაც აძვირებს.

ჩვენს ხელმძღვანელებს მეცხოველეობის დარგისადმი მეტი ყურადღება და ხელშეწყობა მართებთ. დროა, გარდაქმნის იუცილებლობის შესახებ მოწოდებებიდან ყველა ნამდვილ საქმეზე გადავიდეს, გარდაქმნა პრაქტიკულად განახორციელოს. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროული ხორცშესხმისათვის უფრო ქმედითი ღონისძიებებია საჭირო. ბრიგადული იჯარა, რომელმაც ცხოვრებით დაამტკიცა თავისი უპირატესობა, რაიონის ყველა მეცხოველეობის ფერმაში უნდა დაინერგოს.

ალეკსანდრ ბაბაიანი

ბოლოს

ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე, რომელსაც უპარტიოებიც ესწრებოდნენ, ფართოდ გავაანალიზეთ როგორც სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების, ისე ოჯახური იჯარით მუშაობის გამოცდილება. დავსახეთ ღონისძიებანი, რომ ეკონომიურად ხელსაყრელი ეს მეტ-ოდი ეფექტიანი ფორმები შემდგომშიც უფრო წავიხალისოთ და გავავრცელოთ.

ვმონაწილეობდი წლეულს, 23 იანვარს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა „სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე წრომის ნაყოფიერების გაზრდის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანებს. ეს თათბირი იანვრის ისტორიული პლენუმის წინ გაიმართა და მან ბევრ რამეში კიდევ უფრო საფუძვლიანად ჩაგვეხედა, ძიებისათვის, შემოქმედებითი მუშაობისათვის გაგვიწყო. თათბირიდან დაბრუნებისთანავე მოვიწვიეთ კოლმეურნეობის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, თათბირის შედეგები გავაანალიზეთ და ისეთი რეკომენდაციები შევიმუშაეთ, რომ იმედი გვაქვს, ამ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გავზარდოთ პროდუქტების წარმოება, გავაიაფოთ ისინი.

ამის თავდებია ის აქტიური მუშაობა, რომელიც ამ დღეებში კოლმეურნეობაში მიმდინარეობს. მინდვრად, ჩაის პლანტაციებში, ვენახებში შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები, ვსხლავთ პლანტაციებს, უნდა ითქვას, რომ წლეულს გასულ წელთან შედარებით ზამთრის ყველა სამუშაო დროის დიდი ბოლოს ბოლოს სრულდება. თებერვალში განსაკუთრებით იმატა წვილადობამ.

ერთი სიტყვით, მხარს ვუჭერთ რა გარდაქმნას, სადღაც სანგარში კი არ უნდა ჩავჯდეთ და იქიდან ვუთვალთვალოთ, თუ რა კეთდება. ახლა სხვისიმომეფდობა, ინერციით სვლა დანაშაულია. ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელთა საერთო სურვილია მოუმატონ ტემპს, მოუმატონ მუშაობას, რომ უკვე წელსვე მიაღწიონ კეთილ გარდატეხას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს უპატაკონ.

ყრილობა, რომელმაც რევოლუციური გარდაქმნებისათვის განგვაწყო

ღირსსახოვარი ნელი

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე დღეები, როცა თითოეული მისი წარმომადგენელი განსაკუთრებით ღრმად ჩაფიქრდება დიადი ქვეყნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბედის თანაზიარობას, განსაკუთრებით ამაყობს იმით, რომ მისი მოქალაქეა. ასეთ სადღესასწაულო დღეებს განეკუთვნება 7 ნოემბერი, 1 მაისი, 9 მაისი, 7 ოქტომბერი... ახლა დროის კალენდარზე ჩვენთვის — პარტიის წევრებისთვისაც და უპარტიოებისთვისაც კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი დღე აღინიშნება წითლად — 25 თებერვალი. საქართველოს მშრომელებისათვის ხომ ეს თარიღი ორმაგად საზეიმოა.

ზარშან ზუსტად ამ დღეს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სკკპ XXVII ყრილობამ, რომელმაც, როგორც შემდგომმა დრომ დაადასტურა, ქეშმარიტად რევოლუციური როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ისტორიაში, სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითი განვითარების ისტორიაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ, ყრილობაზე მიღებულმა საპროგრამო დებულებებმა, კომუნისტები და ყველა მშრომელი განაწყო სოციალიზმის შემდგომი პროგრესისათვის, მისი დემოკრატიული პოტენციალის სრული გამოვლინებისთვის.

ყრილობის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ, ღრმად გააანალიზა რა განვლილი გზა და ობიექტურად შეაფასა ჩვენი წარმატებანი, მან საქვეყნოდ და პატიოსნად აღნიშნა ნაკლოვანებანი და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობანი, რითაც კიდევ ერთხელ დაანახვა მთელ კაცობრიობას ჩვენი გეგმების, მიზნებისა და პრინციპების კეთილშობილება და სიდიადე, ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის ძლევამოსილი ძალა, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება, სიტყვით კი არა, საქმით, კარდინალურად განვწმინდოთ ჩვენი საზოგადოება მისი ბუნებისათვის ყოველივე უცხოსაგან, განვაახლოთ იგი ჭეშმარიტად რევოლუციური სოციალისტური ღირებულების შესაბამისად. ჩვენი საზოგადოების შემდგომ განვითარებაში ყრილობის წვლილი ის არის, რომ მან შეიმუშავა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის კონკრეტული პრაქტიკული მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, დასახა მიზნები, რომელნიც თითოეული საბჭოთა ადამიანისა და მთელი საზოგადოების ძირეულ ინტერესებს ეხება, ჩამოაყალიბა ამოცანები, რომელთა რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს სოციალიზმი თვისებრივად ახალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

აი, რატომ არის, რომ, როცა დღეს ვიაზრებთ და ვაფასებთ პარტიის XXVII ყრილობის მუშაობას 1986 წლის 25 თებერვლიდან 6 მარტამდე, რაგინდ ვეცადოთ თავი ავარიდოთ პათოსსა და მაღალფარდოვნებას, უნებურად გვაგონდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოჩენილი მემატიანის, ამერიკელი ჯონ რიდის წიგნის სათაური — „ათი დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება“. შესაბამისი კონტექსით სკკპ ყრილობის მუშაობის ათმა დღემაც შეძრა მთელი მსოფლიო. მისი მაღალი ტრიბუნიდან ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა პარტიის ხმა მისწვდა პლანეტის ყველა კუთხეს; და ჩვენი მეგობრებიც და მოშურნენიც დღემდე ცდილობდნენ და ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ყრილობაზე ყოველივე ნათქვამს. ცხადია, ყველანი თავისებურად: პირველნი — აღფრთოვანებითა და იმედით, ლენინური პარტიის მებრძოლური და ნოვატორული სულისკვეთებისათვის სიამაყით, პარტიისა, რომელსაც წარმატებით შეუძლია გადაწყვეტოს ნებისმიერი, თვით ურთულესი ამოცანები, მეორენი — უხდელობითა და ცუდად შეინღბული ღვარძლით, შეშინებულნი იმ იდეებისა და მიზნების მიმართ, რომელნიც ამოცანად დაისახა გაჩაანალოს სოციალისტური ცხოვრების ყველა მხარე, მიანიჭოს სოციალიზმს საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამედროვე ფორმები, მოახდინოს მართვის სისტემის ყველა რგოლის დემოკრატიზაცია, მთლიანად გამოავლინოს სოციალიზმის ჰუმანისტური ხასიათი, მიაღწიოს ადამიანთა ცხოვრებასაქმიანობის ყველა სფეროში რევოლუციურ გარდაქმნებს, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა და სულიერი აყვავება, ბუნებრივად უნდა ესწრაფოდეს მხოლოდ მშვიდობას მთელი კაცობრიობისათვის.

ყრილობის მუშაობის დამთავრების პირველი დღიდანვე მთელი ჩვენი ქვეყნისთვის დაიწყო დაძაბული შრომითი სადგი დღეები, მაგრამ სიტყვა „სადგი“ ასეთი, ყრილობის შემდგომ კონტექსტში რამდენადმე თავისებურ მნიშვნელობას იძენს — დღეს იგი აღსავსეა ახალი ცხოვრებისეული იდეებით. უაღრესი გულახდილობა, ნათელი და მკაფიო შეფასებანი, პარტიული მგზნებარება, ბოლშევიკური გამბედაობა, ნოვატორული სულისკვეთება, ხარვეზებისა და ნაკლოვანების კონსტრუქციული კრიტიკა — აი, მოკლედ ცენტრალური კომიტეტის იმ პოლიტიკური მოხსენების გამორჩეული თავისებურება, რომელიც ყრილობაზე გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წაიკითხა.

სიტყვები იმის თაობაზე, რომ ყველგან და საყოველთაოდ სუფევდეს გონგილეობრობა, რომ საჭიროა დამკვრელურად, თავდადებით მუშაობა, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, მორალისა და კანონის ნორმების დაცვა, ჩვენი შემდგომი მიღწევების წანამძღვრების ძიება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ აქტიური და უკომპრომისო ბრძოლა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების ლენინური დემოკრატიული პრინციპების ფართო განვითარება, ახალ პირობებში წამოჭრილი ერთიანობრივი უერთიერთობის პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტა, ადამიანთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდა, წინათაც არაერთხელ თქმულა — XXVII ყრილობამდე ბევრად ადრე. მაგრამ, სამწუხაროდ, წინათ სიტყვა ხშირად ისევ ლიტონ სიტყვად რჩებოდა, როგორც იტყვიან, საქმე საქმედე ვერ მიდიოდა. ამის შედეგად ხელმძღვანელთა ნაწილის „გაორებულმა“ ცხოვრებამ, იდეალებისა და პრაქტიკის დაშორიშორების შემთხვევებმა ბევრი უსიამოვნო შედეგი შვა საზოგადოებისათვის, სოციალური მიმიკრია, ინდიფერენტიზმი, სკეპტიციზმი და ცინიზმი მოჰყვა. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, 1986 წლის ივნისისა და წლევანდელი იანვრის პლენუმების მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ პარტიამ მოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით შეგვიარაღა, მასებს გააგებინა რევოლუციური გარდაქმნების ობიექტური აუცილებლობა, თავისი მიზნები და გეგმები ხალხის ურყევ ნებად აქცია და ამით თვით გარდაქმნისა და დაჩქარების პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიანიჭა.

სულ ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც სკკპ XXVII ყრილობამ მუშაობა დაიწყო. მაგრამ რა ბევრი რამ გაკეთდა ამ მოკლე დროში! ჩვენ ყველანი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნების მონაწილენი და მოწმენი ვართ. ეს ცვლილებები თვალნათლივ იგრძნობა, ჩახს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაშიც. ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული უდიდესი სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს სს რესპუბლიკამ წარმატებით დაამთავრა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები მოიწვეულმაბრიგადამ და სოფლის მეურნეობაშიც. ამოქმედდა სახმიღება — ღონისძიება, რომელმაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მთელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. საყოველთაოდ მტკიცდება შეგნებული მოქალაქეობრივი და შრომის დისციპლინა, დემოკრატიზაციამ მოიცვა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა სტრუქტურა. საჯაროობა და პასუხისმგებლობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, ორგანიზებულობა და საკუთარი თავისადმი მომკითხველობა, ბოროტების წინააღმდეგ პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ჩვენი ქცევის ნორმა ხდება. მართვის პროგრესული ფორმები, თვითსამეურნეო მექანიზმი თვისებრივი ძვრები, რომლებსაც საფუძვლად უდევს რენტაბელობის, დამოუკიდებლობის, თვითანაზღაურების, სამეურნეო ანგარიშის, ხელმძღვანელთა არჩევითობის, განაწილებითს ურთიერთობაში წესრიგის დამყარების პრინციპები და სხვა სიახლენი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ახალ თვისებრივ საფეხურზე ჩვენი ეკონომიკის აყვანა, რესპუბლიკის წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში მკვიდრდება.

XXVII ყრილობის დებულებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა, იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია ახორციელებს სოციალიზმის სრულყოფისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაწმენდისა და გაჯანსაღებისათვის, ჰუმანისტური სოციალური პროგრამის რეალიზაციისათვის, ადამიანებს განუმტკიცა თანადგომის, ერთობის გრძნობა, გაიღრმავა მათი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, გაუძლიერა შინაგანი მოთხოვნილება — იყვნენ აქტიური თანაზარი ყოველივე იმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება ადამიანის საკეთილდღეოდ, სამშობლოს ასაყვავებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველივე ამან ხელი შეუწყო საზოგადოების კონსოლიდაციას, მისი ერთიანობის შემდგომ გაძლიერებას.

სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს და რესპუბლიკის მთიან რაიონებს, გულგრილი და დაუტოვებია არა მარტო საქართველოს მცხოვრებნი, არამედ არც ერთი საბჭოთა ადამიანი. ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოგვდგა წერილები და დეპეშები, რომლებიც თანაგრძნობასა და თანადგომას გამოხატავენ. ხალხი თავის დახმარებას გვთავაზობს, ფულს გვიგზავნის, მზად არის, რითაც შეუძლია დაეხმაროს დაზარალებულთ. დღითი დღე იზრდება თანხა, რომელიც კოლექტიურად და პიროვნულად შემოაქვთ იმათ დასახმარებლად, ვისაც უბედურება დაატყდა თავს. აი მრავალთაგან ერთ-ერთი ფაქტი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით.

ვინ არ იცის, რომ ადამიანის ხასიათი, მისი ბიოგრაფია განსაზღვრავს მისი ქცევის ლოგიკას. გაზეთ „სოვეთ გურჯისტანის“ რედაქციაში მოვიდა პერსონალური პენსიონერი, ეკიმი, თბილისის ლენინის რაიონის პირველი პოლკლინიკის განყოფილების ყოფილი გამგე თამარ ვასილის ასული გიორგობიანი — დიდი სამამული ომის მონაწილე, რომლისთვისაც მშვიდობიან ყამს ხალხს არავრთხელ გამოუცხადებია დიდი ნდობა და რიისაბჭოს დეპუტატად აურჩევია. ჩვენს რედაქციაში იმან მოიყვანა, რომ შეიტყვია აზერბაიჯანელი ხალხის შვილის რაჰიბ მამედოვის დაღუპვის ამბავი, რომელმაც თავი გასწირა ქართული სოფლის — ჭალადიდის ბევრი მცხოვრების გადასარჩენად.

თამარ გიორგობიანის მამას რევოლუციამდე განაში უმუშავია; შეუყვარებია მეზობელი მოძმე ხალხი, შეუსწავლია მისი ენა და კულტურა. ეკ. გრძნობები, ისევე როგორც აზერბაიჯანული ენის ცოდნა, მას მემკვიდრეობით გადაეცა შვილისთვისაც, რომელიც

ალეკსანდრ ბაბაიანი

...

ეროვნებით ინგილოა. ეკ. ... ბოლოს ... ეროვნებ ... ეროვნ ... ეროვ ... ეროვ ... ეროვ

გვიროზა დავინყებით არ იგინდება

22 თებერვალს დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსისა და პატრიოტის ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლისა და ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტი.

ათასობით თბილისელი მოვიდა პანთეონში, რათა პატივი ეცა იმ ადამიანის ხსოვნისათვის, რომელიც გვერდით ედგა კაცს, ბედის განგებით საფრანგეთში მეზშევეკოა მიერ გატანილი ქართველი ხალხის ფასდაუდებელი საგანძურის მცველი რომ გახდა. იგი მეუღლეს უნერგავდა მომავლის რწმენას, მოწამებრივად იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, ემიგრაციაში რომ ხედათ წელად. იგი ქმრის ტვირთს უბრალოდ კი არ იზიარებდა, არამედ ყოველნაირად ეხმარებოდა მას, ცდილობდა ხვედრი შეემსუბუქებინა. ნინო არ თაკილობდა არავითარ საშუშაოს, ოღონდ მეცნიერს დარჩენოდა დრო გარჯისათვის, იმ უზომოდ დიდი გადასახადების სახსრების გამოძებნისათვის, საფრანგეთის ბანკმა რომ მოთხოვა საქართველოს განძის შესანახად.

როცა 1928 წელს საფრანგეთში ანკეტა შეავსო გრაფაში „ეროვნება“ ნინომ ჩაწერა: ქართველი. დიახ, პოლტორაცკაია ქალი, დიდი გიგო გაბაშვილის შვილიშვილი მშობლიური ქვეყნის ქეშმარიტი პატრიოტი იყო. უმძიმესი განსაცდელის ყამს ეცნოდა ოჯახში გაღატაკებულ ცოლ-ქმარს არასოდეს არ დაუკარგავთ მაღალი სულისკვეთება.

აღსრულებული მოვალეობის გრძნობით წავიდა ამ წუთისოფლიდან ექვთიმე თაყაიშვილი, საგანძური მის ქეშმარიტ მფლობელს ჩამოუტანა. მაგრამ სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარდობდა ომის გამო, რომ მისი ერთგული მეუღლის ნეშტი ეცნო მიწაში გასისვენებდა. გარდაცვალებამდე მან დატოვა ანდერძი, რომ თუ რაიმე შესაძლებლობა იქნებოდა, გადმოესვენებინათ ერთგული მეუღლე საფრანგეთიდან და მშობლიურ მიწაში მის გვერდით დაეკრძალათ.

ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძი აღსრულდა, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ, რომელმაც მიტინგი გახსნა, ამისათვის დიდად იზრუნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, რომლის დავალებითა და სახელით მოქმედებდა შემოქმედებითს მივლინებაში საფრანგეთში მყოფი თვალსაჩინო ქართველი მხატვარი ზურაბ წერეთელი. მრავალი სიძნელის მიუხედავად, მან საქართველოში ჩამოასვენა 1931 წელს გარდაცვლილი ნ. პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტი.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ჩარკვიანი და ლ. თაბუკაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ა. აფაქიძე, რომლებმაც ილაპარაკეს ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი მეუღლის ზნეობრივ გმირობაზე, საქართველოს წინაშე მათს უდიდეს დამსახურებაზე და აღნიშნეს, თუ როგორ აფასებენ საბჭოთა ქვეყანაში ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან სამშობლოს.

ქღერს სამგლოვიარო მელოდია. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტს ბარბენ ბარბენ წინაპართა წმიდათაწმიდა მიწას. ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი ერთგული მეუღლის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

დაკრძალვის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

(საქინფორმი)

ქრონიკა

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380098, თბილისი-98. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, კ/მდივნის — 99-72-80, საგზაო ნაწილი — 99-66,10, ბანაფოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მპრაქტიკულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-24, საბჭოთა მუშაკების — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 98-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოთის ინფორმაციის — 99-69-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილustრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი ბინადრების — 98-95-24.

საქორესპონდენტო პუნქტები

ოსეთი — 3-40-19; ბათუმი — 2-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-28-26; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-33-10; ახალციხე—2-02-15; ზუგდიდი — 2-28-40; ფახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 3-56-26; თელავი — 3-12-09; წითელწყაროა — 23-66; ტყიბული — 25-82.

ჯილდოები მამაცობის, თავდადების და სიმტკიცისათვის

ქუთაისიდან მაღალი მთის ლენტებში საპარო მარშრუტი თებერვალში ჩვეულებრივი გახდა იმ ვერტმფრინავის ფრენის განრიგში, რომლის ბორტმექანიკოსადაც მსახურობს უფროსი ლეიტენანტი, ხარკოველი გენადი იაგოლნიცკი. იგი ამხანაგებთან ერთად მამაცობის ტრასით ავდარში ყოველდღე ოთხ-ხუთ ფრენას ასრულებდა რაიონის დაშორებულ სოფლებში. სტიქიის გამო მოწყვეტილ ადამიანებს დახმარებას სხვა ჯერაკინ აღმოუჩენდა.

თოვლის ბუქი, ვიწრო ხეობები ხელს უშლიდა ხრახნიფრთიანი მანქანის მანევრირებას. მაგრამ არაფერს შეეძლო შეეკავებინა გაბედული, თავდადებული ვერტმფრინავის პილოტები — ვერც ზვავების ძლიერ დარტყმას, ასწლოვან ფიჭვებს ომ აქცევდა, ვერც დგუნებულ, ნაპირებიდან გადმოსულ მდინარეებს, ვერც ხუთი მეტრი სისქის თოვლს. გენადის, ეკიპაჟის სხვა წევრებს, მთიელები აპყავდათ სახლების სახურავებიდან, ეხმარებოდნენ ჰაერში ჩამოკიდებულ მანქანაში დაჭრილების აყვანაში. იყო შემთხვევა, როცა მათ ვერ შეძლეს ვერტმფრინავის მიწაზე დაშვება და სურსათი ჯალამბრით ჩააწოდეს.

მამაცობის, თავდადების, მტკიცე მორალურ-ნებისყოფითი თვისებების გამოვლენისათვის კომკავშირელი გ. იაგოლნიცკი დაჯილდოდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით. მასთან ერთად ეს ჯილდო რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გადაეცათ თელ რიგ სხვა ახალგაზრდა ამერკავკასიელ მეომრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ადამიანთა გადარჩენაში, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში. და ღრმად სიმბოლურია, რომ თითოეულმა მათგანმა აქ მიიღო აგრეთვე ნ. ოსტროვსკის უკვდავი წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

დაჯილდოებულთა შორის არის უმცროსი სერჟანტი ნიკოლოზ ბერესნევი. 21 წლის ლენინგრადელი მსახურობს სინეინრო-მესანგრეთა ჯარებში მექანიკოს-მძღოლად. თებერვლის მკაცრ დღეებში მან თავისი სპეციალური მანქანით გადალახა როკის უღელტეხილი, უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის მას და მის ამხანაგებს სურსათი, სათბობი მიჰქონდათ ყველაზე დაშორებულ საცხოვრებელ სახლებში, ფერმებში, ტაქანიდენენ, ამზადებდნენ ვერტმფრინავების დასაჯდომ მოედნებს...

ტანკისტს, სერჟანტ გაბილ ყულიევს კი არ მოუწია უშუალოდ მიელო მონაწილეობა სტიქიისაგან დაზარალებულთა გადარჩენაში. მაგრამ იგი თავისი თანამემამულის რაჰიპ მამედოვის მაგალითისამებრ ყოველ წუთს მზად იყო დახმარებოდა მათ. თავისი ნაწილის კომკავშირელებთან, ოფიცრებთან ერთად გ. ყულიევმა შეიტანა წვლილი № 700 ანგარიშზე სამი ათას მანეთზე მეტი თანხის გადარიცხვაში...

საპატიო სიგელების გადაცემისას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. შარაშიძემ გულთბილად მიულოცა ამიერკავკასიელ მეომრებს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებანი მხედრულ სამსახურში.

სტიქია და ადამიანები

უანგარო, ძმური

დახმარება

სოფლეთის მრავალმა შრომითმა კოლექტივმა უკვე თებერვლის მეორე დეკადის დამლევს შეასრულა საქართველოს შეკვეთები, რომლებიც პირველი კვარტალისათვის იყო გათვალისწინებული. ამ კოლექტივების შორის არიან საწარმოო გაერთიანებები „სომხეთელექტრომანქანა“, „ლუისი“, „მასისი“, ერევნის საავტომობილო ქარხანა და სხვები. 25 ძალური ტრანსფორმატორი, 41 მოძრავი ელექტროსადგური — ასეთია ელექტრომანქანათა შეწნებელთა სასწრაფო მიწოდებები.

მოძმე რესპუბლიკის შეკვეთებს გზა ხსნილი აქვთ. ამ დევიზის განხორციელების ღირსების საქმედ მიიჩნევენ სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების კოლექტივები. ჩვენს რესპუბლიკაში მოძალე ვადაში რიგგარეშე გამოიგზავნა ელექტრომანქანები, შუკტექნიკური ნაწარმი, სამენი მასალა, ფეხსაცმელი, სხვა პროდუქცია.

— საქართველოს დახმარებას, — თქვა ერევნის საავტომობილო ქარხნის მეინსტრუმენტე ზენიკაძმა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლეონ პოოლიანმა, — ღვიძლ საქმედ ვთვლით, ხოლო ღვიძლი ძმის დახმარება ყოველთვის უანგაროა. საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობს გვერდგვერდ ჩვენი ორი ერი. ჩვენი ქარხნის კოლექტივს ძმური კავშირი აქვს საქართველოს ბევრ ორგანიზაციასთან, რომლებიც ჩვენი ქარხნის მუდმივი შემკვეთები არიან და ამიტომაც გულთან ახლოს მიგვაქვს ახლანდელი უბედურება, ისევე ღრმად გვაწუხებს იგი, როგორც ქართველებს.

ავტომობილმშენებელთა სიტყვა საქმეს არ სცილდება. დახმარების ბატის პირველი დღეებიდანვე წარმოების მუშაკებმა საქართველოში გამოგზავნეს 30 ავტოფურგონი და 2500 მანეთის სათადარიგო ნაწილები, მათ იკისრეს დამატებითი ვალდებულება — ვადაზე ოთხი თვით ადრე დაასრულონ პირველი ნახევარწლეულისათვის გათვალისწინებული შეკვეთები. საწარმოს ეკონომიის ფონდიდან დაზარალებულ რაიონებს 4 ათასი მანეთი გადმოერიცხა.

— სტიქიური უბედურების ამბავი როცა შევიტყვეთ, — ამბობს ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „მასისის“ მუშა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გოარ მელქონიანი, — დიდი ტკივილი განვიცადეთ, წარმოგიდგინეთ მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი ქართველი და-ძმანი აღმოჩნდნენ.

გაერთიანებამ დაიჩქარა მიწოდების ტემპი და „საქფეხსაცმელეულეგაჭრობის“ 1 მილიონ 678 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუგზავნა, მან ვალდებულება იკისრა, რომ თვის დამლევამდე დაასრულებს პირველი კვარტალის გეგმას.

სომხეთის სულ ახალ-ახალი შრომითი კოლექტივები, სულ უფრო მეტი მცხოვრები ეხმება ძმური დახმარების გაწევის საქმეში. მშრომელები გამოხატავენ მზადყოფნას თავიანთი თავისუფალი დროის ნაწილი გამოიყენონ დახმარების ფონდის შესავსებად. კიროვაკანის ა. მიასნიკიანის სახელობის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა საქართველოში გამოგზავნა კარბიდით დატვირთული რამდენიმე ვაგონი. მოძმე რესპუბლიკის შეკვეთები რიგგარეშე შეასრულეს შუკტექნიკური ქარხნის, ავეჯის, კამოს სახელობის ტრიკოტაჟის, ს. შაუმიანის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, გაერთიანება „ავტოგენმანქანის“ მუშაკებმა და სხვა შრომითმა კოლექტივებმა.

გულის სითბო

უდაბნოს სამუალო სკოლამ ფართოდ გაუღო კარი სვანეთის სოფელ მულახის მკვიდრი პედაგოგების შერი გულბანისა და ჯოტო იოსელიანის პრაქტიკულად მთელ ოჯახს. ცოლმა შრომის მაჯაწყვეტლად დაიწყო მუშაობა, ქმარმა — დირექტორის მოადგილედ სამეურნეო ნაწილში, ხოლო სამი ბავშვი სწავლას შეუდგა. კიდევ ერთი, ყველაზე პატარა, საბავშვო ბაღში დადის.

ჯოტო მოკიდავე იყო, მშობელ მხარეში მესტიის რაიონის მულახის ახალგაზრდული სპორტსკოლის მეთოდისტად მუშაობდა. ახალ საცხოვრებელ ადგილზეც, სკოლაში მუშაობასთან დაკავშირებული საზრუნავის მიუხედავად, იგი აპირებს დროის გამონახვას იმისათვის, რომ ნორჩი უდაბნოელები სპორტს ეზიაროს.

აქ გადმოსახლებული ყოველი სვანი საუბარს ამით იწყებს, თუ რა ძმურად დახვდნენ მათ საგარეჯოს რაიონში, როგორ უზრუნველყვეს ყველაფერით, გულითადად მიიღეს უბედურებაგამოვლილი ადამიანები, და მერეღა იწყებენ განცდილის მოყოლას.

როგორ მუშაობენ გადმოსახლებულები ახალ ადგილას? ხომ არ არის საჭირო დამატებითი დახმარება საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში? — ასეთი კითხვებით იწყებენ ყოველ დღეს უდაბნოს სასოფლო საბჭოს ალმასომისა და ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები. მერე კი ზრუნვა იმითვის, ვისაც კიდევ მოუწევს მესტიის ნაცვლად საგარეჯოში ჩაწერა. მარტის დამდეგს აქ კიდევ 30 სვანი ოჯახი ჩამოვა. მათ დასახვედრად მიმდინარეობს იმ კორპუსების კაპიტალური რემონტი, სადაც გამოხსნილებები მათთვის გათვალისწინებული ახალი კოტეჯების აშენებამდე დასახლდებიან.

ყველა უდაბნოელს — ძველ ბინადრებსაც და ახალმოსახლეებსაც, მაქსიმალურ კომფორტს უქმნიან. საგარეჯოს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული, რომ ამ სოფლის მოსახლეობა, სადაც წინათ 260 ოჯახი ცხოვრობდა, ერთიორად გაორდება. ამ ვარაუდით არის აშენებული საზოგადოებრივი დანიშნულების ყველა ნაგებობა: სკოლა, სბავშვო ბაღი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. სოფლის ცენტრში მთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა, რომლის დარბაზს 420 მაყურებელს დიტევს. მშენებლები, რომლებიც უკვე ხუთსართულიან ნაგებობას, ობიექტის ჩაბარებას აპირებენ მაისში, გარეჯობის დღესასწაულისათვის.

მაგრამ ქართველი კინემატოგრაფისტები მშენებლობის დამთავრებას არ დაელოდებიან. 19 თებერვალს ისინი უდაბნოში ჩამოვიდნენ შემოქმედებითი შეხვედრაზე. სტუმართა შორის იყვნენ რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოს სახელოსნოს პროპაგანდის ბიუროს ხელმძღვანელები, პოპულარული მსახიობები ოთარ კობერიძე და ზურაბ ქაფიანიძე, გიდიას როლის შემსრულებელი თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატვრის ხე“ წარმოშობით სვანი სოსო ჯაქელიანი.

კინოს მოღვაწეებმა ახალმოსახლეებს გადასცეს საჩუქრები და გაიცნეს გადაწყვეტილება კიდევ ერთი საჩუქრის შესახებ, რომელიც ჯერ მზადდება — როგორც კი ჩადგება მწყობრში კულტურის სახლი, მასში კინოუნივერსიტეტი დაიწყებს მუშაობას. აქ არა მარტო მოიწყობა ყველა ახალი ქართული ფილმის პრემიერება, არამედ რეგულარულად ჩატარდება შეხვედრები შემოქმედებით ჯგუფებთან.

მეტი კი ნორჩ ახალმოსახლეებს

მეგობრის ხელი

მთელი ქვეყანა გამოეხმაურა საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის უბედურებას, რომლებიც არნახული სტიქიური უბედურების გამო დაზარალდნენ. მეგობართა მხარდაჭერას გრძნობენ ამ დღეებში მაღალი მთის ხევნეთის, რიონის ხეობის მცხოვრებლები.

აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის მშრომელებმა მომძე საქართველოში გამოგზავნეს უხეში და ზვნიანი საკვებით, ფქვილით, შიფერით, ლოგინის თეთრეულით, ტანსაცმლით დატვირთული ავტომანქანების მთელი კოლონა. ავტომანქანების ძარებშია აგრეთვე სამი ტონა კომბინირებული საკვები, ხუთი ტონა სათესლე სიმინდი, ათობით კუბური მეტრი დახერხილი ხე-ტყე.

სურათებზე: აზერბაიჯანის დელეგაციას ხელმძღვანელობენ კახის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამირ ველიევი (მარცხნივ) და ამავე რაიონის ნიზამის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარაბიან ბაბაჯანიშვილი; აზერბაიჯანელ მეგობართა ავტომანქანების კოლონა მიემართება დასავლეთ საქართველოს რაიონებისაკენ.

ი. დავითაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ

23 თებერვალი ● საკდესი იუწყება

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

● ფილიპინები

შეთქმულების ცდა

მანილა. ფილიპინების არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ფიდელ რამოსმა ბრძანება გასცა ეროვნული შეიარაღებული ძალების ნაწილები და ქვეგანყოფები საბრძოლოდ გაემზადებინათ იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო სარდლობამ მიიღო ცნობა შემარჯვენე ძალები ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დეტაბილიზაციას ამზადებენო.

ფილიპინების ცენტრალური პრესა აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ყოფილი პრეზიდენტის ფ. მარკოსის მომხრეები არმიაში, აგრეთვე მემარჯვენე-კონსერვატორული ბურჟუაზიული ოპოზიციის ხელმძღვანელობაში უახლოეს დღეებში აპირებენ შეიარაღებული გამოხდომების სერიის, მათ შორის მანილაში, რომლის მიზანია ხელში ჩაიგდონ საკვანძო სამხედრო და სამოქალაქო ობიექტები: არმიის სარდლობამ მიიღო გენერალ ფ. რამოსის ბრძანება აღკვეთონ აჯანყებულთა ყოველგვარი ცდები. როგორც პრესაში გამოქვეყნებული მასალები მოწმობენ, მარკოსის მომხრეები აპირებენ თავიანთი გამოსვლები დაუკავშირონ 25 თებერვალს — ადმინისტრაციის სათავეში პრეზიდენტ კორასონ აკინოს მოსვლის პირველი წლისთავის ზეიმს.

მიაღწიეს შეთანხმებას

პარიზი. აქ დამთავრდა ექვსი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების მმართველების შეხვედრა. იტალიის დელეგაციამ უარი თქვა ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე. თავიანი უარი მან ახსნა იმით, რომ მოსამზადებელი თათბირი მორიგებათა საწინააღმდეგოდ გაიმართა მისი მონაწილეობის გარეშე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ საბოლოო კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ექვსმა ქვეყანამ შეძლო შეთანხმებულიყო იმის თაობაზე, რომ საჭიროა უზრუნველყონ თავიანთი ეროვნული ვალუტების კურსის მეტი სტაბილურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზგასმულია კომუნიკეში, „ექვსეულის“ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები შეიძლება ეკვის ქვეშ დადგეს.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვარშავა.** კვირას აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე, წარმოების ხელმძღვანელი, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაკი, რომლებმაც თავიანთი შრომითი ბიოგრაფია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომით დაიწყეს.

◆ **კაირო.** აქ მოსული ცნობების თანახმად, ისრაელის ხელისუფლებამ დახურეს პალესტინელთა ორი უნივერსიტეტი მდინარე იორდანის ოკუპირებულ ნაპირზე და ღაზის სექტორში. ეს აქცია იმ ფართო რეპრესიების ნაწილია, რომლიც ოკუპანტებმა თავს დაატეხეს ქალაქების რამალაჰის, ელ-ბალილისა და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს, სადაც გრძელდება არაბული მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები ოკუპანტების წინააღმდეგ. ღაზის უნივერსიტეტი ათი დღით დაიხურა მას შემდეგ, რაც იქ შაბათს გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაციები, რომლებიც გამოწვეული იყო მრავალი მოსწავლის დაპატიმრებით.

● არგენტინა

ქალაში შემოდა ახალი კანონი

ბუენოს-აირესი. კვირას, შუალამისას, არგენტინაში ძალაში შევიდა კანონი იმ პირთა სახამართლო დევნის შეწყვეტის შესახებ, რომლებიც ეკვმიტანილნი არიან იმაში, რომ უხეშად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს უკანასკნელი სამხედრო დიქტატურების წლებში (1976-1982 წლები). ეს კანონი მთავრობამ განიხილა ეროვნულ კონგრესზე და დაამტკიცა რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმა მარშან დეკემბერში.

როგორც ცნობილია, სამხედრო რეჟიმებმა არგენტინაში ჩაიდინეს ბევრი სისხლიანი ბოროტმოქმედება, ანგარიში გაუსწორეს პროგრესულ მოღვაწეებს „ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბაბით. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმების ხელისუფლების სათავეში ექვსი წლის ყოფნის დროს „უგზოუკვლოდ“ დაიკარგა 9 ათასი კაცი, ამავე დროს ბევრ პროგრესულ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ეს ციფრი აშკარად შემცირებულია. გახდა თუ არა პრეზიდენტი, რაულ ალფონსინმა პირადად გასცა ბრძანება დაეპატიმრებინათ გენერლებისა და უფროსი ოფიცრების ჯგუფი, რომლებიც მასობრივი რეპრესიების შესახებ ან ბრძანებებს იძლეოდნენ, ან პირადად მონაწილეობდნენ არგენტინელთა გატაცებაში, წამებასა და მკვლელობაში. არგენტინისა და მთელი ლათინური ამერიკის ისტორიაში შევიდა სამხედრო ხუნტების ყოფილი მეთაურის, სხვა ოფიცრებისა და პოლიციის ყოფილი დიდი თანამდებობის მოხელეთა პროცესები. ახლა, სამოქალაქო ხელისუფალთა აზრით, ქვეყანაში მართვა-გამგეობის კონსტიტუციური ფორმების დაბრუნების სამი წლის შემდეგ, დადგა მომენტი, როდესაც „უნდა შეჯამდეს“ შავბნელი წარსული.

● ინგლისი

დეპუტატთა მოთხოვნა

ლონდონი. ბრიტანეთის პარლამენტის ლეიბორისტული პარტიის დეპუტატთა ჯგუფმა მოსთხოვა პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს გააკეთოს „დაუყოვნებელი და ამომწურავი“ განცხადება იმის თაობაზე, რომ ამერიკის პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ გასული წლის აპრილში ლიბიის ქალაქებზე ამერიკელთა საჰაერო თავდასხმის მიზანი იყო ლიბიის ხელმძღვანელის მუამარ კადაფის მკვლელობა. როგორც ლეიბორისტმა დეპუტატმა მარტინ ფლენერომ განაცხადა, ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ თავდასხმის მონაწილე ამერიკული ბომბდამშენებისათვის თავიანთი ბაზების გადაცემისას ბრიტანეთის მთავრობამ შესანიშნავად იცოდა ამ ოპერაციის ნამდვილი მიზანი. მან აღნიშნა, რომ ქვეყანამ უნდა იცოდეს არის, თუ არა მისი მთავრობა თანამზრახველი სუვერენული სახელმწიფოს ხელმძღვანელის მოკვლის ბინძურ ჩანაფიქრში.

ფოტოფაქტი

● ესპანეთი

ესპანეთის ბევრ ქალაქში გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლები. მადრიდში გამართული მანიფესტაციის დროს, რომლის გასარეკად პოლიციის გაძლიერებული რაზმები გამოიყვანეს, 25 კაცი დაშავდა. ხელისუფალთა ცნობით, მასში 10.000-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მანიფესტანტები აპირებდნენ მთავრობისათვის გადაეცათ მოთხოვნათა სია, რომლებიც ეხება განათლების საჭიროებისათვის სახელმწიფო ასიგნებათა გაზრდას, სწავლის ქირის შემცირებას, მისაღები გამოცდების წესის შეცვლას.

სურათზე: პოლიციელები უსწორდებიან მანიფესტანტებს მადრიდში.

რეიტერ-საკდესის ფოტო.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

საოჯახლამფარო სპორტი. ბაკურიანში ორ დღეს გაგრძელდა მოთხილამურე არქეტექტორთა მესამე საერთაშორისო შეჯიბრება ქალთა შორის გიგანტურ სლალომში და სპეციალურ სლალომში. გაიმარჯვა რიგელმა დაცე ცინეგვეთა შორის კი ორივე სახეობაში იმარჯვა თბილისელმა კოტე იაშვილმა.

კალათბურთი. უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი თბილისს „დინამომ“ კაუნასში ადგილობრივ „ჟალგირისთან გამართა, ერთობ სპატიო გამარჯვება მოიპოვა (68:64) და სატურნირო ცხრილშიც მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. გთავაზობთ კიდევ ორ შედეგს: დონეცკის „შახტიორი“-ლენინგრადის „სპარტაკი“ — 78:85, „შახტიორი“-რიგის ვეფი — 74:70. დღეისათვის ფინალურ ექსკეფეში მოასპარეზეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ცსკა — 25 მოგება, კაუნასის „ჟალგირისი“ — 22, თბილისის „დინამო“ — 18, ლენინგრადის „სპარტაკი“ — 17, დონეცკის „შახტიორი“ — 15, რიგის ვეფი — 13. 26 თებერვალს თბილისის დინამოელები უმასპინძლებენ ლენინგრადის „სპარტაკს“.

ფეხბურთი. მოსკოვსა და ალმა-ათაში დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. თბილისის „დინამომ“, რომელიც მოსკოვში ასპარეზობს, ზედიზედ ორი მატჩი მოიგო: ჯერ შვეიცარიის ფლოტის კოლექტივთან (სეგასტოპოლი) — 8:7, შემდეგ კი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდთან — 10:9. გუშინ თბილისელები ხვდებოდნენ ხარკოვის „ლოკომოტივს“. ეს მატჩი გვიან საღამოს დამთავრდა. გთავაზობთ დანარჩენი შეხვედრების შედეგებსაც: **მოსკოვი.** ხარკოვის „ლოკომოტივი“-მოსკოვის უნივერსიტეტი — 3:11, ცენტრალური სპორტკლუბი-ლენინგრადის „ბალტიკა“ — 11:4, „ლოკომოტივი“-„ბალტიკა“ — 6:4, მოსკოვის უნივერსიტეტი-შავი ზღვის ფლოტის გუნდი — 9:7; **ალმა-ათა.** კასპიის ზღველდრიშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდი-ლვოვის „დინამო“ — 8:11, მოსკოვის „დინამო“-კიევის „დინამო“ — 12:9, მოსკოვის „მოსკვიჩი“-ალმა-ათის „დინამო“ — 5:7, „მოსკვიჩი“-კიევის „დინამო“ — 8:10, ბაქოელთა გუნდი-მოსკოვის „დინამო“ — 8:10, ალმა-ათის „დინამო“-ლვოვის „დინამო“ — 11:9.

ᲫᲐᲚᲝᲜᲝᲜᲝᲑᲐ. საფრანგეთის ქალაქ ლიეგენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სარეკორდო მაჩვენებლით (დარბაზში მოწყობილი შეჯიბრებების) დაამთავრა ასპარეზობა სიგრძეზე ხტომაში ირევანელმა რობერტ ემიანმა. ახლა ამ სახეობაში ევროპის რეკორდი უდრის 8,49 მეტრს. 200 მეტრზე რბენაში კი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბრუნო მარროზმა (საფრანგეთი) — 20,36 წამი.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ფლორიდაში (აშშ) დამთავრებულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ლარისა სავჩენკო და სვეტლანა პარხომენკო. მათ წყვილთა თანრიგში ნახევარფინალური შეხვედრა მოუგეს ჰანა მანდლიკოვას (ჩეხოსლოვაკია) და უენდი ტერბოლოს (ავსტრია) — 6:3, 6:4. ამის შემდეგ დაამარცხეს კრის ევერტ-ლოიდი და პემ შრაივერი (აშშ) — 6:0, 3:6, 6:2.

სასტენდო სროლა. ტაშკენტში გამართულ უძლიერეს მესტენდურეთა საკავშირო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზუსტინოველმა ანდრია როდიონოვმა. მან მრგვალ სტენდზე სროლაში 200 შესაძლებლიდან 199 ქულა დაგროვა და ევგენი კენდრატიევის მემორიალის გამარჯვებულის წოდებას დაეუფლა. მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა თბილისელი თამაზ იმნაიშვილი. სასანგრე სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო კურსკელი ალექსანდრე სტაროდუბი — 196 ქულა.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. იტალიაში მომდინარე ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობს სსრ კავშირის ნაკრები. მან ნახევარფინალური ჯგუფის პირველ მატჩში დაამარცხა იტალიელთა გუნდი ინგარიშით 27:12.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

24 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მხატვრული ფილმი „ლეიტენანტ კეჟინოვის სიმართლე“. 10.35 — „მოსკოვი“. კინოეტიუდი. 10.45 — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. 11.15 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. დოკუმენტური ფილმები. 17.55 — დედის სკოლა. 18.25 — ახალი ამბები. 18.30 — „აუვიეთს დღეები და ღამეები“. კინომიმოხილვა. 19.15 — მულტფილმი. 19.25 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 19.40 — დღეს მსოფლიოში. 19.50 — დაჩქარება. 20.20 — დიდი ოქტომბრის იუბილესათვის. მხატვრული ფილმი „შემხვედრი“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — კონცერტი. 23.15 — ფეხბურთი. მატჩი სუპერთასისათვის. ბუქარესტის „სტიაუა“ — კიევ